# საერთო გაზეთი

№37 (676)
ოთხშაბათი
9 ნოემბერი,
2022წ.
ფასი 1.50 ლ.


## გვახსოვს 7 ნოემბერი!





**ბიძინა ივანიშვილი:**

## ყველაფერი ისე იქნება, როგორც ქართველ ხალხს სურს!

## ირაკლი ღარიბაშვილი – „ნაციონალების“ ყელში ძვალივით გაჩხერილი პრემიერი



*„ჩუმი, მშვიდობიანი, დინჯი, არა-მყვირალა და ჩხავანა მოღვაწეობა, – საცა უნდა იყოს, – თუ გულმხურვა-ლეობით არის გამთბარი, გულმოდგინეობით წარმართული, ერთგულობით ძირმაგარი და პატიოსნებით ნათელ-ცხებული, – უტყუარი ნიშანია თვითონ მოღვაწის დიდ-ბუნებოვანობისა.“*

ილია ჭავჭავაძე - 185.



**რამაზ საყვარელიძე:**

## შესაძლოა ევროპამ საქართველო დაკარგოს...



შალვა ფანჩატუროვიჩ პიტოხუი და სხვა პიტოხუიები



**მამუკა არეშიძე:**

## დასავლეთს სტაბილური საქართველო უნდა აწყობდეს

## უკრაინა, რომელიც საქართველოში უკვე იყო...

## ომბუდსმენი სახალხო კენჭისყრით უნდა ავირჩიოთ!

## გაიტანეთ სახალხო დამცველის პოსტი საქართველოს სივრციდან!

## „საერთო გაზეთი“ – გაზეთი მოაზროვნე მკითხველისთვის

# ბიძინა ივანიშვილი: ყველაფერი ისე იქნება, როგორც ქართველ ხალხს სურს!



ბატონი ბიძინა ივანიშვილი ხილულად რომ გამოჩნდა საქართველოს წინაშე, არ მახსოვს, ვინ იყო, რომ თქვა: სამაგიდო თამაშები უყვარს, იშვიათად აგებს, წაგებას ვერ იტანს, ჭინჭყლობს, მაგრამ ისეთი მოთამაშეა, გაოცდებით, რანაირად გათვლის სვლებს, ვერ მიხვდები, წაგებულ ხელს ისე შემოატრიალებსო.

ახლა ვუყურებ, რა ხდებოდა „დეოლიგარქიზაციაზე“, რომელიც პირდაპირ მისკენ იყო მიმართული და ულვაშებში მეღიმება — ეს რანაირად შემოუტრიალა? ჰერმან საბო საბრალოდღა გოდებს, დეოლიგარქიზაციის შესახებ კანონი არის „ქართული ოცნების“ მხრიდან ენის გამოყოფა ევროკავშირის მიმართო...

პარლამენტმა მიიღო დეოლიგარქიზაციის შესახებ კანონპროექტი, რადიკალურმა საპარლამენტო ოპოზიციამ კი მხარი არ დაუჭირა. ძალიან საინტერესოა, რატომ, თვითონ არ წამოიწყეს, გვინდა-გვინდა სასწაფოდ ეს კანონიო?

პროექტის მიხედვით, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ეკონომიკური და პოლიტიკური წონის მქონე პირად (ოლიგარქად) მიიჩნევა ფიზიკური პირი, რომელიც შემდეგი კრიტერიუმებიდან სულ მცირე სამ მათგანს მაინც ერთდროულად აკმაყოფილებს:

1. მონაწილეობს პოლიტიკურ ცხოვრებაში;

2. მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე;

3. არის ის მეწარმე იურიდიული პირის საბოლოო ბენეფიციარი, რომელსაც ბაზარზე დომინანტური მდგომარეობა უკავია და რომელიც ამ მდგომარეობას 1 წლის განმავლობაში ინარჩუნებს ან იუმჯობესებს; მისი და იმ მეწარმე იურიდიული პირების აქტივების დადასტურებული ოდენობა, სადაც ის ბენეფიციარია, შესაბამისი წლის პირველი იანვრის მდგომარეობით 1 000 000-ჯერ აღემატება შრომისუნარიანი პირებისთვის დადგენილ საარსებო მინიმუმს.

ჰოდა, ჩემო იმანოებო, აღარ მოუნდათ დეოლიგარქიზაცია, თუ ის მხოლოდ ბიძინა ივანიშვილს არ შეეხებოდა და კიდევ უარესი, მათკენ შებრუნდებოდა და საკუთარ ოლიგარქებს მოუკითხავდა.

იტყვი, ბრძენი კაცია ბიძინა ივანიშვილი, უძლიერესი მოთამაშეო და დაგიწყებენ თითის მოშვერას, „ბიძინისტი“ ხარო — ბიძინისტი კი არ ვარ „სიმართლისტი“ ვარ. ჰოდა, იმ სიმართლით ვივლი, რაც ახლა გამახსენდა ბიძინა ივანიშვილის „დეოლიგარქიზაციაზე“. მაშინაც ასე ამოატრიალეს „პლასტინკა“ მისთვის საქართველოს მოქალაქის სტატუსის მინიჭებაზე.

მუმლი რომ მუხას ესევა, ზუსტად ისეა ამათი ამბავი...

2012 წლის 4 აპრილს, მოთხოვნიდან სამი თვის თავზე, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს დასკვნის საფუძველზე, ბიძინა ივანიშვილს უარი ეთქვა საქართველოს მოქალაქის სტატუსის მინიჭებაზე.

„საქართველოს კანონმდებლობა საქართველოს მოქალაქეობის მისაღებად ითვალისწინებდა ორ პროცედურას. პირველი — ნატურალიზაცია: იმ პირთათვის, რომლებიც არ არიან სხვა ქვეყნის მოქალაქეები. მეორე — ორმაგი მოქალაქეობა: მოქალაქეობის მინიჭება იმ პირთათვის, რომლებიც, ამავდროულად, სხვა ქვეყნის მოქალაქეები არიან.

საფრანგეთის მოქალაქე ბიძინა ივანიშვილმა სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ნატურალიზაციის გზით საქართველოს მოქალაქეობის მიღების თხოვნით მიმართა. სხვა ქვეყნის მოქალაქის მიერ ნატურალიზაციის გზით საქართველოს მოქალაქეობის მინიჭებას საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს. ბიძინა ივანიშვილს, როგორც სხვა ქვეყნის მოქალაქეს, საქართველოს მოქალაქეობის მიღების მიზნით უნდა მიემართა ორმაგი მოქალაქეობის მინიჭების მოთხოვნით.

მსგავსი თხოვნით ბიძინა ივანიშვილს შესაბამისი ორგანოებისთვის დღემდე არ მიუმართავს. მოქალაქეობის საკითხის გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სამართლებრივი პროცედურების დაცვის შემთხვევაში,“ — ნათქვამი იყო ოფიციალურ განცხადებაში.

საინტერესო „დაკვალიანება“, ორმაგი მოქალაქეობის მინიჭების საკითხს უშუალოდ პრეზიდენტი წყვეტს...

ხელისუფლების წარმომადგენელებს საერთო პოზიცია ჰქონდათ, ბატონმა ივანიშვილმა მოქალაქეობის მოთხოვნის არასწორ ფორმას მიმართაო.

ბატონი ივანიშვილის „მხარდამჭერად“ მოულოდნელად გიორგი თარგამაძე გამოხტა, ბატონი ივანიშვილის მიერ „ნაცმოძრაობის დანამატად“ სახელდებული, რომელიც ინიციატივით გამოვიდა, კონსტიტუციაში შესულიყო ცვლილება: „ევროკავშირის წევრი ქვეყნის მოქალაქე, რომელიც დაბადებულია საქართველოში და ბოლო ათი წლის განმავლობაში ცხოვრობდა საქართველოში, აღჭურვილი იყოს საარჩევნო პროცესში მონაწილეობისა და არჩევის იმავე პოლიტიკური უფლებებით, როგორც საქართველოს მოქალაქე“.

გახურებულზე ბევრმა „ყლაპა“ ხელისუფლების გადაგდებული ნემსკავი, მაგრამ „დედა-რესპუბლიკელი“ თინა ხიდაშელი, სარძევე კბილი „მიშა და კომპანიაში“ რომ მოიცვალა, მაგას ჭამდა? მიუღებელი და დაუშვებელია კონსტიტუციის ჭრა-კერვა რომელიმე ერთ ადამიანზე მორგებით და ამიტომ ვარ სწორედ ხელისუფლების ოპოზიციაშიო. ხოლო, რაც Aშეეხება კონკრეტულად ბატონ ივანიშვილს, მისთვის მოქალაქეობის მინიჭებას არანაირი საკონსტიტუციო ცვლილება არ სჭირდებაო, — თქვა მან და მართებულადაც. თარგამაძის ინიციატივა კი სხვა არაფერი იყო, გარდა ერთისა, მიენიშნებინა, „ხელისუფლება კანონიერად იქცევაო“, ან — „მიშას თუ კონსტიტუციის მორგებაში სდებთ ბრალს, აგერ, თქვენი ბიძინა, ჯერ არ მოსულა და უკვე იგივეს აკეთებსო.“ აბა, ამას გამოაპარებდნენ „თინას რაზმს“?

რატომ აირჩიეს ბატონი ივანიშვილისთვის საქართველოს მოქალაქეობის მისანიჭებლად ნატურალიზაციის გზა მისმა მრჩევლებმა, თუ საქართველოს კანონმდებლობით ეს გზა მცდარი იყო? ნუთუ ამდენი ცნობილი იურისტით გარშემორტყმული ივანიშვილი საკუთარმა „იურისტულმა“ გარემოცვამ გააცურა? — დაისვა კითხვები აღშფოთებული საზოგადოების მხრიდან.

ხალხის იმედგაცრუებას, ბუნებრივია, კვლავ იმ ცალკეული პირების წარსულის გახსენება მოჰყვა, რომლებიც დღეს „კოალიციაში“ არიან და ცნობილი იურისტები ჰქვიათ, თუმცა, ისინი ივანიშვილამდე არსებული ხელისუფლების იურისტებიც იყვნენ და იმის წინანდელი ხელისუფლებისაც, სასათბურე პირობების შექმნის შემთხვევაში ყველგან რომ ხარობენ.

პირველი კომენტარი ბატონმა არჩილ კბილაშვილმა გააკეთა, რომელმაც ბრძანა, რომ სამოქალაქო რეესტრის გადაწყვეტილება უკანონოა, რადგან, მოქმედი კანონმდებლობა ნატურალიზაციის გზით საქართველოს მოქალაქეობის მიღების სწორედ იმ პირობებს ითვალისწინებს, როცა პირი უცხო ქვეყნის მოქალაქეა.

„შემიძლია მიგითითოთ პრეზიდენტის 2009 წლის 30 იანვრის №34 ბრძანებულება, რომელიც საქართველოს მოქალაქეობის ნატურალიზაციის გზით მიღების წესს შეეხება. ამ დებულებას თან ერთვის განცხადების ფორმის დანართი, რომლითაც მიემართება საქართველოს პრეზიდენტს. დანართის 11-ე პუნქტში არის ასეთი შინაარსის ჩანაწერი: „ჩემი თხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში, თანახმა ვარ, უარი განვაცხადო ამა და ამ ქვეყნის მოქალაქეობაზე“. ეს ნიშნავს, რომ პირი, რომელიც პრეზიდენტს ნატურალიზაციის გზით მოქალაქეობის მიღების თხოვნით მიმართავს, იმ მომენტისათვის რომელიღაც ქვეყნის მოქალაქეა,“ — განაცხადა ბატონმა კბილაშვილმა.

„თუ სურვილი აქვთ, ორმაგი მოქალაქეობის საფუძველზე მიანიჭონ საქართველოს მოქალაქეობა ბიძინა ივანიშვილს, ჩვენ ამ მიმართულებითაც გვაქვს შეტანილი სარჩელი სააპელაციო სასამართლოში, უკვე სამი თვეა და დააკმაყოფილონ ეს სარჩელი, ისე, როგორც დააკმაყოფილეს ეკატერინე ხვედელიძის ნაწილში და ამით აღდგება სამართლიანობა. ამიტომ, ეს არის საბაბი და არა მიზეზი“, — განაცხადა ზაქარია ქუცნაშვილმა.

ბატონი ივანიშვილისთვის საქართველოს მოქალაქეობის დაბრუნების, (აღდგენის, მინიჭების თუ რაც გინდათ, დაარქვით) საკითხს დაუყოვნებლივ გამოეხმაურა აშშ-ის ელჩი საქართველოში ჯონ ბასიც, რომელმაც, როგორც ელჩმა, ცხადია, საკუთარი ქვეყნის პოზიცია დააფიქსირა: „მოვუწოდებთ საქართველოს მთავრობას, სწრაფად და თანასწორობის პრინციპით წარმართოს ივანიშვილისთვის მოქალაქეობის მინიჭების საკითხი,“ — რომელსაც ამ სიტყვებამდე ორიოდე წუთით ადრე მხარმარჯვნივ სანდრა რუსლოვსი უმშვენებდა გვერდს, მარცხნივ კი ჭიაბერაშვილი.

დილას ოფიციალურად გაჯიქებული საპარლამენტო უმრავლესობა, შუადღისთვის უეცრად „ფრიად მოიხიბლა“ გიორგი თარგამაძის ინიციატივით და ხელები გაშალეს — რაზეა ლაპარაკი, ბატონ ივანიშვილს ისეთივე უფლებები იქნება არჩევნებზე, როგორც სხვებსო.

რაც შეეხება თვით ბატონ ბიძინას, საქართველოს მოქალაქეობაზე მისთვის უარის თქმის მეორე დღეს პრესკონფერენციაზე მშვიდად განაცხადა: „21 აპრილს, მე, როგორც საქართველოს მოქალაქე, მონაწილეობას მივიღებ (დავაფუძნებ) ახალი პარტიის დაფუძნებაში „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველო“. უფრო მოგვიანებით ჩვენი კოალიცია ბლოკად ჩამოყალიბდება და მისი სახელი იქნება „ივანიშვილი — „ქართული ოცნება“. მე ვიქნები ამ ბლოკის ლიდერი და



დავრჩები პრემიერ-მინისტრობის კანდიდატად.

მე თქვენ გპირდებით, რომ, როგორც ნებიერად და ლამაზად მოვიდა გაზაფხული, უფრო უხვი და მოსავლიანი შემოდგომა გვექნება. გპირდებით, რომ ყველაფერი იქნება ისე, როგორც ქართველი ხალხი მოისურვებს.“

რაც ვერ გათვალა და ვერ აგვისრულა დანაპირებიდან, არის ის, რომ სისტემა არ გასამართლდა, ისიც გარედან უხეში ჩარევის გამო. ყურით მოთრეული კოჰაბიტაცია რომ მოგვახვიეს თავზე და მეორე — ძალიან კარგი წარმოდგენისა ყოფილა საქართველოს მოქალაქეებზე ბატონი ბიძინა, ვერ წარმოედგინა, რომ ასეთი სულწაპანა წუპაკები დახვდებოდნენ...

სასაცილო ის არის, რომ არაერთი სიუჟეტი მოამზადა სხვადასხვა რევანშისტმა ტელევიზიამ ბიძინა ივანიშვილზე, მაგრამ საზოგადოებრივი აზრი — „ბიძინა ივანიშვილი საქართველოს მავნებელი“ ვერ შექმნეს. ახლა ეკოტერორისტობა დაუმატეს — ორი დღეა, იცინის ხალხი და უკვირთ, როგორც არ რცხვენია ტელეწამყვან გოგონას, როცა პათეტიკური ტონით მრისხანე ჰანგის ფონზე უტიფრად იმეორებს სიტყვებს, რომლებიც ეთერში წასაკითხად დაუწერეს — ივანიშვილს ბუნებრივი რეაქციაც არ ჰქონია, როცა ეკოდამნაშავედ მოიხსენიესო. თურმე დამდგარა ეს „უსაქმური ბიძინა“ და აპატიმრებს ცალკე მუხებს, ცალკე გარეული ფრინველების კონკრეტულ სახეობებს: ხოხბებს, გნოლებს და კაკბებს — „ტყეში უშფოთველი არსებობა შეწყვიტესო“. შვილო, გასაგებია რომ დაგავალეს ამ იდიოტობის წაკითხვა პირდაპირ ეთერში, მაგრამ თვალები მაინც დახარე, რომ დაგიჭყეტია გაყინული თევზივით და მოგვჩერებიხარ, მივხვდეთ მაყურებლები, რომ „მანდ მუშაობ და სხვაგვარად არ ძალგიძს“...

**P.S პოლიტიკაში ჩახედული ადამიანების აზრით, ამერიკის წარმომადგენლობას დღემდე არ ესმით ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლის მიზანი, რადგან მათთვის სრულიად გაუგებარია მილიარდერისგან პოლიტიკაში მოსვლა სარგებლის მიღების გარეშე. არ გააჩნიათ სარგებლის მიღების მტკიცებულება, ამიტომაც, როგორც ნაცები, ასევე საელჩოც, აყოლილები არიან საკუთარ პარანოიდულ შიშებს ივანიშვილის მიმართ და იგონებენ მის პრორუსულობას (ნაცებს როცა ეხმარებოდა, მაშინ არ იყო რუსი ოლიგარქი?!). ამიტომ „ოცნების“ გასაკონტროლებლად ცდილობენ ნაცების პოლიტიკური სიკვდილისგან გადარჩენას და მიერთებული ჰყავთ წვეთოვანებზე.... თან გიჟდებიან უკვე, რაკი ხედავენ, რომ მათი პოლიტიკური ინსტრუმენტი და დასაყრდენი ოპოზიცია თვითლიკვიდაციის რეჟიმშია გადასული... რევოლუციებისმოწყობა სცადეს და აღარ მიჰყვება ხალხი, ახლა რუსეთის წინააღმდეგ ქვეყნის ომში ჩართვის ტაქტიკური გეგმა არ გამოსდით და რა ქნან?**

**ნინო დაუშვილი**

# ირაკლი ღარიბაშვილი – „ნაციონალების“ ყელში ძვალივით გაჩხერილი პრემიერი

რამდენიმე დღის უკან მიშა მშვილდაძის გაბადრულ სახეს გადავაწყდი და გამიკვირდა, ეს ადამიანი ხომ, ფაქტობრივად, მხოლოდ ყვირის ან იჭაჭება და რამ გააბედნიერა-მეთქი, დავინტერესდი. თურმე ვიქტორ ორბანს დასცინოდა. ასე თქვა, უკრაინის ომის დასრულება მხოლოდ დონალდ ტრამპს შეუძლიაო, — აი, ასეთ კაცს შეხვდა ღარიბაშვილიო. ორბანსვე ეკუთვნის ფრაზა „უკრაინა ომს ვერ მოიგებსო“. ეტყობა, ღარიბაშვილმა შეხვედრაზე უთხრა: ეეე, ორბან, მე მაგას ჯერ კიდევ როდის ვამბობდიო. სხვათა შორის, ორბანი ერთ დროს სააკაშვილს ემმაკაცებოდა. 2012 წლის არჩევნების წინ ორბანი საქართველოში ჩამოვიდა და ქუთაისში, სტადიონზე ქართველ ხალხს მოგვიწოდა, რომ მძიმე შეცდომა არ დაგვეშვა და „ნაცები“ არ გაგვეშვაო, — და მის ვითომ ხუმრობებს ფონად ადევს სიცილი. არ ვიცი, ეს სიცილი ჩაწერილი აქვთ თუ აუდიტორია იცინის, მაგრამ ორივე შემთხვევაში მძიმე მდგომარეობასთან გვაქვს საქმე — ავად არიან „ძალიან ნაცები“.

ამ ავადობას სამედინო ენაზე აუცილებლად ექნება სახელი, მაგრამ მის ძიებას რა აზრი აქვს, როცა სახეზეა პათოლოგიური მდგომარეობა — ველარ გაიზარდნენ ეს გაჭირვებულები, იქვე ჩარჩნენ, იმ დროში, ბევრ რამეს რომ ისრულებდნენ და, ფაქტობრივად, განებივრებული ბავშვები იყვნენ — მოსწონდა ეს ყველაფერი მათ შემქმნელ ავზნიან „მეფე მათიუშ I-ს“, იგივე „ფანტან I-ს“ და მასხარაობდნენ ესენიც. გადასწიეთ კრებსითი მიშა მშვილდაძეების ასაკი მინიმუმ 25 წლით უკან და რა ასაკსაც მიიღებთ, იმას კიდევ დააკელით. ცუდი ზნის მოზარდები რომ არიან „მე თუ არ ველაპარაკები, შენც არ დაელაპარაკო“, „მე თუ არ ვეთამაშები, შენც არ ეთამაშო“, — ამ ზნესა და განვითარების იმ დონეზე დარჩნენ, ველარ გაიზარდნენ გონებრივად, შესაბამისად, ველარც განვითარდნენ.

კაცმა გულახდილად რომ თქვას, როგორი ასატანია, „დიადი მეფის“ მეგობრობადაბრალებული „ვიღაც ორბანი“, ასევე „ვიღაც ღარიბაშვილს“ საპატივცემულო სადილს ახვედრებდეს, თან ხოტბას ასხამდეს: ძალიან ცოტა ადამიანი ბრუნდება პოლიტიკაში და ირაკლი ღარიბაშვილი იმ დიდებულთა შორისაა, რომელიც პოლიტიკაში დაბრუნდაო; ირაკლი ღარიბაშვილი, რომელიც პოლიტიკაში დაბრუნდა და მეორედ მსახურობს პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე, დიდი მებრძოლია და ამიტომაც არის ჩვენთვის სამაგალითოო; მე დამეჯერება, რადგან 30 წელია პოლიტიკაში ვარო; მეგობრულ ვითარებაში იმართება დღევანდელი სადილი და საჯარო გამოსვლებით დიდად არ გადაგლეთ, მაგრამ უნდა ვთქვა, რომ ჩემთვის, პირადად, დიდი სიამოვნება და პატივია მას ვმასპინძლობდეო. მის ოჯახს ვუსურვებ დღეგრძელობას, ხოლო ერთს — კეთილდღეობასო. ამას რომ მოისმენს „ნაცბანდა“, იღლიცინოს კი არა, გულები როგორ არ დაუსკდათ ერთიმეორის მიყოლებით?

„ძალიან კარგი შეხვედრა მქონდა ბუდაპეშტში საქართველოს პრემიერ-მინისტრ ღარიბაშვილთან. განვიხილეთ ენერგეტიკის სფეროში თანამშრომლობის გაძლიერების გზები. ენერგიის წყაროების დივერსიფიკაცია ევროპის ენერგოკრიზისიდან ერთადერთი გამოსავალია!“ — დაწერა ვიქტორ ორბანმა სოციალურ ქსელ ტვიტერში. გადაირია აქუბარდია, „ეს ვაჟბატონი რომ წავიდა ორბანთან, ორბანი ვინ ჰგონია — არავინ ელაპარაკება მაგ კაცსო“. აქუ, შენ მაინც იჯექი ჩუმად მაგ „სალობიეში წყნარად“...



იმის ნაცვლად, რომ უხაროდეთ საკუთარი სამშობლოს სულ მცირეოდენი წინსვლა-წარმატება, ჭვალი ესობათ გულზე და ბოღმა-გესლის ნთხევაზე არიან გადასულები. თუ ხელისუფლებაში ისევ „ნაცმოძრაობა“ იქნება და უნგრეთში ჩავლენ, ორბანთან, მყისვე უნგრეთს მათ დაფსებულ ნაცთვალებში პრესტიჟი აღუდგება, მანამდე კი იქნება ევროკავშირისა და ნატო-ს წევრი ქვეყანა ამ ორი კავშირისთვის შეუფერებელი და, შესაბამისად, გასარიცხი.

ორბანი საქართველოს ეწვევაო და ამიტომაც აყვირდნენ, ქუთაისის სტადიონიდან გვარიგებდა, „ქართულ ოცნებას“ უგანეთო, — რა დონეზე გამომიშებულები არიან, ოდანავად არ ესმით, რომ დედამიწა მათ გარშემო აღარ ბრუნავს...

ცალკე საკითხია დონალდ ტრამპისა და ვიქტორ ორბანის ნათქვამებზე სიცილ-ღრეჭვა, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს მათ უმწიფარობასაც. შვილო თუ შვილებო, თქვენზე ასაკით ბუნებრივად ბევრად პატარებმა იციან დანამდვილებით, რომ მხოლოდ ტრამპს კი არა, აშშ-ის ნებისმიერ ცოცხალ პრეზიდენტს შეუძლია უკრაინაში ომის დამთავრება, მაგრამ არავითარ შემთხვევაში ეს არ სურს ცოცხალ-მკვდარს. ან ორბანს რას ემართლებიან საკუთარი აზრის გამოთქმის გამო. ეს მისი შეხედულებაა და რასაც ფიქრობდა, ის თქვა.

მანამდე საქართველოში ალიევის ვიზიტით ერთობოდნენ, აქაოდა, პრეზიდენტმა ვიზიტის შესახებ არ იცოდაო. პრეზიდენტმა კიდევ ბევრი რამ არ იცის და რაც იცოდა, ისიც დაივიწყდა, დიდი ამბავი, თუ ალიევი შემოეპარა...

მოკლედ, პოლიტიკურ სანაგვეზე ყველასგან მოსროლილები იმ ტარაკნებს დაემსგავსნენ, თავმოძრობილები მაინც რომ ცოცხლობენ 9 დღე და მერე შიმშილით კვდებიან. ამათ რა დაამშევს და არიან ასე, უთავოდ ცოცხლები...

ჯერ პრემიერის უნგრეთში ვიზიტი არ ჰქონდათ მონელებული და ახლა არაბთა გაერთიანებული საემიროებისკენ გაეშურა პრემიერი და აბუ-დაბის აეროპორტში ოფიციალური დახვედრის ცერემონიაც გაუმართეს. ახლა ამ ორ ქვეყანას შორის არსებული თანამშრომლობის ძირითადი მიმართულებები და სამომავლო თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივები განიხილეს. შემდეგ იქ უმასპინძლეს ოფიციალური შეხვედრის შემდეგ და ხელმეორედ შეუქანდა მგრძნობიარე გულები ნაცბანდას.

ან ის როგორი მოსასმენია, რომ ამ ორ ქვეყანას შორის 2022 წლის 9 თვის განმავლობაში სავაჭრო ბრუნვა 84%-ით გაიზარდა და 190 მლნ დოლარი შეადგინა — ის ვერ მოუნელებიათ, რომ მშვიდობის სადარაჯოზე დგას პრემიერი და ახლა ამხელა მოგებიდან რომ არაფერი ხვდებათ და ყველაფერი ქვეყანას ხმარდება.

ეს, რაც ახლახან იყო, თორემ მანამდე რამდენჯერ სადმე წავიდა ბატონი ღარიბაშვილი და რამდენი ვინმეს შეხვდა შინ თუ სტუმრად, ეგ ცალკე კვნესა და ქილიკი იყო.

რატომ უნდა იყო ასეთი დაუნახავი, ასეთი მავნებელი საკუთარი სამშობლოსი?

აქამდე საქართველო მხოლოდ სადღაც არსებობდა, ახლა კი მსოფლიომ მისი გაცნობა დაიწყო. ძალიან კარგად და გასაგებად თქვა გოგა ხაინდრავამ და ვისაც ამის შეგნებულად დაუნახაობის პრობლემა აქვს, ის, უბრალოდ, დაწყევლილად დაბადებულია: „ის უამრავი გზა, რაც აქამდე გადიოდა რუსეთით, უკრაინით, ბელარუსით — დამთავრდა. ეს გზები აღარ აკავშირებს ერთმანეთთან დასავლეთსა და აღმოსავლეთს. ერთადერთი გზა, რომელიც აქეთ დარჩა, ჩვენზე (საქართველოზე) გადის, ამიტომ ჩვენი მნიშვნელობა ძალიან გაიზარდა და ამ მნიშვნელობის გაზრდას სჭირდება მოქმედება. სწორედ ამ მოქმედებას ახორციელებს ჩვენი ხელისუფლება, პრემიერი ირაკლი ღარიბაშვილი. იგი იმყოფებოდა: ყაზახეთში, ტაჯიკეთში, არაბთა გაერთიანებულ საემიროებში, ევროპაში, უნგრეთში, ცალკე უნდა აღინიშნოს აზერბაიჯანთან ურთიერთობა. ეს ნიშნავს იმას, რომ დღეს ჩვენი ქვეყანა გახდა მოთამაშე, რაც აქამდე არ ყოფილა. აქამდე დააჭერდნენ ღილაკს, ნულანდი დარეკავდა ვაშინგტონიდან, აქ ეტყოდნენ მთავრობაში, ასე და ისე ქენითო. დღეს აქედან უთხრეს, რომ ასე აღარ იქნება. მსოფლიოში დამთავრდა ეს. მხოლოდ ჩვენ ამას ვერ გავაკეთებდით ალბათ, მაგრამ ვითარება სწორად არის გაანალიზებული და დანახული — ახლა არის დრო, თვითმყოფადობა, სუვერენიტეტი, დამოუკიდებლობა განმტკიცდეს.

საქართველო არის ერთადერთი დამოუკიდებელი ქვეყანა არა მხოლოდ რეგიონში, არამედ აღმოსავლეთ ევროპაში, ვინც გაბედა დამოუკიდებლად, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედება. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც არის თანხვედრა საზოგადოების მოთხოვნისა და ამ მოთხოვნის შესრულების უნარი და სურვილი ხელისუფლებაში. ამ თანხვედრამ შექმნა აბსოლუტურად ახალი გეოპოლიტიკური ველი ჩვენი ქვეყნის გარშემო.

ყველაზე საინტერესო დღეს საერთაშორისო ასპარეზზე ხდება და იქ ძალიან კარგად ვპოზიციონერობთ.“

„მე ყველგან და ყოველთვის დავიცავ ჩვენი ქვეყნის და ჩვენი ხალხის ინტერესებს. არ გავაკეთებ არაფერს ისეთს, რაც დააზიანებს სამშობლოს და მშვიდობას!“ — დაგვპირდა პრემიერი და გვისრულებს კიდეც.

თვალში ნაცარი მტერს, ხოლო საქართველოს — უღრუბლო ცა და ნათელი მომავალი!

**ნინო დაუშვილი**

# შესაძლოა, ევროპამ საქართველო დაკარგოს...

## რა გითხრათ, რით გაგახაროთ – ამ სიტყვებს ბოლო დროს მეც ხშირად ვამბობ...



*გვესაუბრება პოლიტოლოგი, ფსიქოლოგი რამაზ საყვარელიძე:*

**— ბატონო რამაზ, რა ხდება საპარლამენტო და არასაპარლამენტო ოპოზიციის რადიკალურ ნაწილში?**

— „რა გითხრათ, რით გაგახაროთ“, — ასე იწყება ილიას ერთ-ერთი წერილი. ამ სიტყვებს ბოლო დროს მეც ხშირად ვამბობ, განსაკუთრებით, ოპოზიციასთან მიმართებით. მეგობარმა მკითხა: ოპოზიცია დეოლიგარქიზაციის უკრაინული კანონის ანალოგს რომ იწუნებს, თავად რა ვარიანტები აქვსო. საქმე ისაა, რომ ისინი, ძირითადად, უკმაყოფილონი იმით არიან, რომ კანონში არ წერია — ივანიშვილი ოლიგარქიაო. რომელ კანონში წერია სახელები და გვარები?! მუხლების მიხედვით კი, ბუნებრივია, ივანიშვილი ამ კანონში ვერ და არ მოხვდება. ხშირად ოპოზიციის რეაქციებით საზოგადოება გაოგნებულია — არც შესაბამი-



სი განათლება, არც ინტელექტი, არც აზროვნება. ხომ ვიცით, რომ ორჯერ ორი ოთხია, მაგრამ ოპოზიციას მსგავს ჭეშმარიტებაზეც კი განსხვავებული მოსაზრება აქვს! შევარდნაძის დროს ოპოზიციას დაჟინებული ჰქონდა: საპარლამენტო რესპუბლიკა გვინდაო. ბატონმა ედუარდმა კი მაინც საპრეზიდენტო მოდელი გააკეთა. ოპოზიცია ამბობდა: საპარლამენტო რესპუბლიკა უფრო სამართლიანი იქნებაო. დღეს რა ვითარებაა? — მივიღეთ საპარლამენტო რესპუბლიკა ქვეყანაში, სადაც პარტიები არ არის. „ნაცმოძრაობა“ მოსახლეობისთვის მიუღებელია. საპარლამენტო რესპუბლიკა ნიშნავს, რომ ძალაუფლებას პარტიებს აძლევ. ამ დროს პარტიები არ არის. სახეზეა მხოლოდ „ქართული ოცნება“. „თაგვმა თხარა თხარაო, კატა გამოთხარაო“, — ასე დაემართა ოპოზიციას. მან ისეთი მოდელი გამოთხარა, რომ თავად მთელი ძალაუფლება დაკარგა და „ქართულ ოცნებას“ გადასცა. ოპოზიცია ისეთ ნაბიჯებს დგამს, რომლის იქეთ ლოგიკის დანახვა შეუძლებელია. ადრეც ასე იყო. ამერიკას ტყუილად ხომ არ აქვს საპრეზიდენტო რესპუბლიკა?! აშშ-ის ყველაფერი ხომ მოგვწონს? 2012 წელს, როცა ხელისუფლებაში ივანიშვილი მოვიდა, კამათობდნენ, რა მოდელი აერჩიათ — საპრეზიდენტო თუ საპარლემენტო? — ირაკლი ალასანიას საპრეზიდენტო რესპუბლიკა სურდა, რადგან გაპრეზიდენტების შანსი ჰქონდა, უსუფაშვილი კი საპარლამენტოსკენ იხრებოდა. ქვეყნისთვის რა სჯობდა და რას უფრო ჰქონდა რეალური პერსპექტივა, ამაზე არავინ დაფიქრებულა — ამოცანა წუთიერი ჭიის გახარება და ასევე, წუთიერი იდეებით ხელმძღვანელობა იყო. ისევე, როგორც წუთიერი იდეებით წამოაყენეს რიგგარეშე არჩევნების მოთხოვნა. არადა, გაუგებარია — რაში აწყობთ რიგგარეშე არჩევნების დანიშვნა მაშინ, როცა რეიტინგი არ აქვთ. რიგგარეშე არჩევნებით, იცით, რას მიაღწევენ? — პარლამენტში ოპოზიციის ის ოდენობაც აღარ იქნება, რაც ახლაა. ანუ, ეს არის ხალხი, რომელიც ფიქრობს არა ქვეყნისთვის რა არის სასარგებლო, არამედ საკუთარი თავისთვის.

**— ოპოზიციური სამეული რადიკალური ამომრჩევლის მიზიდვას ცდილობს. არის საზოგადოებისგან რადიკალიზმზე დაკვეთა?**

— აი, თქვენ ახლა ოპოზიციის მორიგი უჭკუობის მაგალი-



თი მოიყვანეთ. კერძოდ, რადიკალური ამომრჩევლის მიზიდვა. ასეთი ამომრჩეველი ცოტაა — ორასი კაციც არ გროვდება. თუ სურთ სახელმწიფო ძალისმიერი, რადიკალურად ავტორიტარული იყოს, მომხრეები უნდა დაითვალონ. მერე გადათვალონ, რადიკალურად ლიბერალურ სახელმწიფოს რამდენი მომხრე ჰყავს. აღმოჩნდება, რომ ეს უკიდურესი პოლუსები ქვეყანაში მცირე რაოდენობითაა. ხალხს არც ერთი უკიდურესობა უნდა და არც მეორე. ჩვეულებრივ, ადამიანებს ასეთი რადიკალიზმი არ ახასიათებთ. ოპოზიცია კი დარბის და რადიკალებს ეძებს, მაგრამ მიშისტების გარდა ვერავის პოულობს. ამ დროს ოპოზიციის გარკვეულ ნაწილს მიშა არ უნდა. ისინი ამბობენ: ყველაფერს მიშას გარეშე უნდა მივაღწიოთო. ახლა ამოიჩემეს, ივანიშვილის ახლობლების სანქცირების თემა. ფიქრობენ ამის გამო იგი ქუდს დაიხურავს და ქვეყნიდან გაიქცევა. მერე ივანიშვილის დასანქცირება მოხდება, ხელისუფლება ჩამოიშლება და „ქართული ოცნება“ გაიქცევაო. რატომ უნდა გაიქცნენ? — ესეც გაუგებარია. ასე რომ, ოპოზიციის გონებაში მოხარშული ხელისუფლების შეცვლის მოდელი არარეალისტურია. აბა, რა გითხრათ, რით გაგახაროთ?!

**— პრაიმერთან დაკავშირებით რას ფიქრობთ?**

— ყველაფერი აზრიანად უნდა გამოიყენო — დანით უნდა გაჭრა ვაშლი, თერმომეტრით გაიზომო სიცხე. თერმომეტრით რომ ვაშლი გაჭრა და დანით სიცხე გაიზომო, უკვე გაუგებრობაში ხარ. ანალოგიურად, პრაიმერსაც თავისი ფუნქცია აქვს. პრაიმერით უნდა გადაწყდეს: პარტიიდან რომელი კანდიდატის დასახელება სჯობს, რაც მეტ შანს იძლევა, რომ ხალხი მხარს სწორედ მას დაუჭერს, ვისაც პრაიმერით დაასახელებენ. ეს ამერიკული პრაქტიკაა. იქ ხომ პარტიები ჩრდილშია გადაყვანილი — ცდილობენ, პარტიას პოლიტიკურ ცხოვრებაზე რაც შეიძლება ნაკლები გავლენა ჰქონდეს. ამერიკაში მიაჩნიათ, რომ პარტია ტენდენციურობისა და ნეპოტიზმის ბუდეა. ერთ-ერთი მექანიზმი გახლავთ მაჟორიტარული არჩევნები, სადაც ხალხი ირჩევს დეპუტატს და არა პარტიის თავმჯდომარეს. პროპორციულში კი სიას პარტიის თავმჯდომარე ადგენს. პრაიმერით ხალხი წყვეტს, ვინ გამწესდეს კანდიდატად და არა პარტიული ელიტა. ესე-



ნი კი პრაიმერით ირჩევენ ადამიანს, რომელიც თანამდებობის პირია. რატომ უნდა დაუჭიროს ამომრჩეველმა მხარი პრაიმერის მექანიზმით ასეთ კანდიდატს, სრულიად გაუგებარია. მეორეც, ჯერ არჩევნები არ ჩატარებულა. მინისტრთა კაბინეტის ფორმირება არჩევნების მერე ხდება. ესენი რას აკეთებენ, გაუგებარია. რა გითხრათ, რით გაგახაროთ?!

**— კელი დეგნანის მუქარაზე რას იტყვით: ევროპულ გზაზე სვლაში ხელს შეგიშლითო?**

— ამ დროს ქართველის მეხსიერებაში ტივტივდება ის, თუ როგორ დაანგრია სააკაშვილმა უზარმაზარი მედიასტრუქტურა — „იმედი“. მან მთელ მედიასამყაროზე მონოპოლია დაამყარა. ეს ყველაფერი ისე მოხდა, ევროპას ხმა არ ამოუღია. მეტიც, მიშას, ხელისუფლებაში ყოფნის ბოლო დღემდე, დემოკრატიის შუქურას ეძახდა. ახლა, თურმე, დემოკრატიის საკითხი ეჭვქვეშ დადგა იმიტომ, რომ გვარამია ციხეშია! გამორიცხული არაა, ეს ევროპამ შარად მოგვდოს. დასავლეთის მხრიდან ეს უსამართლობა, დისბალანსი დიდ შანსს აჩენს, რომ საზოგადოებაში ევროპის მიმართ ნიჰილიზმი გაჩნდეს. ასე, **შესაძლოა, ევროპამ საქართველო დაკარგოს არა გეოგრაფიულად ან ეკონომიკურად, არამედ ფსიქოლოგიურად. ორასი წელი რუსეთის იმპერიის ჩექმის ქვეშ ვიყავით, თუმცა მას სერიოზულად არასდროს აღვიქვამდით. რუსეთმა ფიზიკურად დაგვიმონა, მაგრამ ფსიქოლოგიურად დაგვკარგა. ამიტომ, როგორც კი შანსი მოგვეცა, ზურგი შევაქციეთ მას. ანალოგიური რამ შეიძლება მოხდეს ევროპასთან მიმართებით და მის მიმართ ქართველებს თაყვანისცემა გაუქრეთ.** ეს ცუდია და, რა თქმა უნდა, იმ პერსპექტივის გათვალისწინებით, რის წინაშეც საქართველო დგას, სასურველი არ არის. ჩვენ ძალიან მყარი ევროპული ორიენტაცია გვჭირდება, თავად ევროპა თუ არ შეუშლის ამ ყველაფერს ხელს. **დეგნანის განცხადებები — საქართველოში ანტიევროპული განწყობილებების გაღვივების კუთხით, ერთადერთ ქვეყანას — რუსეთს აძლევს ხელს. დიახ, დეგნანის განცხადებები რუსეთის წისქვილზე ასხამს წყალს. ფაქტობრივად, დეგნანი დღეს რუსეთზე მუშაობს.** რამდენად გამართული და სწორია ის, რომ ამერიკის ელჩი რუსეთზე მუშაობს, ეს თავად ამერიკამ და მისმა სამსახურებმა გადაწყვიტონ.

**— მაკკეინის ინსტიტუტის განცხადებაზე რა კომენტარს გააკეთებთ?**

— მაკკეინის ინსტიტუტიც და დეგნანიც შემდეგი მიმართულებით მუშაობენ: „ნაცმოძრაობა“ ხელისუფლებაში დააბრუნონ, ან არსებულ მდგომარეობაში გააძლიერონ. ანგარიშს არ უწევენ იმ ფაქტს, რომ ხალხმა 2012 წელს ნაცებს უარი უთხრა. სააკაშვილი ამბობს: 2012 წელს ივანიშვილმა ხმები იყიდა და ისე გაიმარჯვაო. ჩვენ ხომ ვიცით, რეალურად ასე არ იყო. მიშას რომ ყველაფრის თქმა შეუძლია, რაც აწყობს, სულერთია, რეალურია თუ არა მისი მონათხრობი. **ხალხი სააკაშვილს ხელისუფლებაში მეორედ არ მოუშვებს. თუ დადგება საკითხი — ევროპა თუ სააკაშვილი, ხალხი ევროპაზე უფრო ადვილად იტყვის უარს, ვიდრე სააკაშვილის ხელისუფლებაში მოყვანაზე.** ეს ერთ დონეზე განსახილველი არ არის, თორემ, ევროპა, ამ შემთხვევეში, წააგებს. რადგან **ჩვენ უკვე ვიცხოვრეთ იმ ეპოქაში, როცა სააკაშვილი ევროპისკენ მიგვიძღოდა. ეს პროცესი იმით გახდა თვალსაჩინო, რომ ციხეები პატიმრებით გაივსო, ადამიანებს ბიზნესებს ართმევდნენ და ხელყოფდნენ მათ სიცოცხლეს. აი, ასე მიჰყავდა სააკაშვილს საქართველო ევროპისკენ.** ხალხს აღარ უნდა ევროპისკენ ასე სიარული. იმ დროს ევროპა ხმას არ იღებდა, მიშას ქცევა მისთვის მისაღები იყო. ახლა, თურმე, მიუღებელ მოვლენებს აქვს ადგილი. რაც მთავარია, კარგად უნდა გავიგოთ, რომ გვარამიას ციხიდან გამოშვება პოლარიზაციის ხარისხის გაზრდას ნიშნავს. ეს ადამიანი პირდაპირ პოლარიზაციის განსახიერებაა — გამოუშვებ და პოლარიზაცია მაშინვე გაიზრდება. ეს უნდა ევროპას?!

**— ევროსაბჭოს რეზოლუციით პოლიტპატიმრად აღიარებულ სააკაშვილზე რას იტყვით?**

— **თავად „ნაცმოძრაობის“ მიერ ჩამოყვანილმა ნობელის პრემიის ლაურეატმა ექიმმა საქართველო ისე დატოვა, დიაგნოზი არ დაუსვამს. ნაცებს ეგონათ, ეს კაცი სააკაშვილს ნახავდა და იტყოდა: კვდება, სასწრაფოდ უცხოეთში წაიყვანეთო. ნაცებს**

6 გვ. →

# დასავლეთს არა ომში ჩართული, არამედ სტაბილური საქართველო უნდა აწყობდეს

## დაშლილი რუსეთი უზარმაზარი საფრთხეა რეგიონისთვისაც და მსოფლიოსთვისაც



***გვესაუბრება ექსპერტი კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძე:***

**— ბატონო მამუკა, რა შეცვალა მსოფლიო რუკაზე რუსეთ-უკრაინის ომმა?**

— მსოფლიო რუკაზე რუსეთ-უკრაინის ომის შედეგები ჯერ არ ჩანს. თუმცა, გარკვეული ტენდენციები გამოიკვეთა — არსებული მსოფლიო წესრიგის მყიფე ნაგებობა იმსხვრევა. მსოფლიოს მსხვილი მოთამაშეები ცდილობენ, თავისი გავლენები განიმტკიცონ. რეგიონალური ლიდერებისა და პატარა ქვეყნების შედარებით მსხვილი მოთამაშეები მსოფლიო წესრიგის ფორმირებაში მონაწილეობის მისაღებად ემზადებიან. ბოლო წლების განმავლობაში მსოფლიოში მიმდინარე არაერთი ომი მინახავს, არცერთ მათგანში მსხვილი მოთამაშეები აქტიურად არ მონაწილეობდნენ, თუ არ ჩავთვლით საქართველოში ხუთდღიან და ბევრ სხვა წვრილმან, შედარებით უფრო პატარა მასშტაბის




ომებს. ის, რაც დღეს უკრაინაში ხდება, ფაქტობრივად, ერთი მხრივ, დასავლეთისა და რუსეთის დაპირისპირებაა, ხოლო, მეორე მხრივ, დასავლეთისა და, პრაქტიკულად, აზიის დაპირისპირება. უფრო ზუსტად, ევროპისა და აზიის, ანუ, ცივილიზაციების დაპირისპირება. ამ ვითარებაში ის, რაც პერიფერიებზე აზიურ სივრცეში ომების სახით ხდებოდა, მაგალითად, სირიაში, ერაყში, ავღანეთში, ეს ყველაფერი მეორეხარისხოვანია. ახლა უკვე იწყება მსხვილი მოთამაშეების ერთმანეთთან დაპირისპირება, რაც აუცილებლად ახალი სამხედრო კონფლიქტების სახეს მიიღებს. ვგულისხმობ ისეთ მსხვილ რეგიონულ მოთამაშეებს, როგორებიც არიან ირანი და საუდის არაბეთი ან თუნდაც, ირანი და თურქეთი. როგორც ჩანს, ამ ტიპის ომიც, ასე ვთქვათ, კარს არის მომდგარი. ამ ვითარებაში ორიენტირის სწორად პოვნა ძალიან რთულია, მაგრამ იმედი მაქვს, რომ ამას შევძლებთ. მით უმეტეს, რომ ჩვენს საზღვრებთან ხან ცხელი და ხან ცივი ფაზის საომარი ვითარებაა, ვგულისხმობ აზერბაიჯანსა და სომხეთს, რასაც, როგორც ჩანს ამ დღეებში საბოლოოდ დაესმება წერტილი, რასაკვირველია, სომხეთისთვის მძიმე დანაკარგების ფონზე. ამ ვითარებაში საქართველომ სამშვიდობო ინიციატივების დემონსტრირება მოახერხა. საპასუხოდ, რუსეთი შეეცადა სოჭი ასეთ სამშვიდობო პლატფორმად გადაექცია, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. რამდენად დათმობენ ბრიუსელი და ვაშინგტონი იმას, რომ ეს პროცესი თბილისში დასრულდეს, ეს ცალკე საკითხია. მაგრამ პროცესი თბილისში საბოლოო წერტილის გარეშე მაინც შედგება.

**— თავად უკრაინასა და რუსეთს ახლო მომავალში რა პერსპექტივა ესახებათ?**

— დღეს, ცალსახად, მორალური და ტექნიკური უპირატესობა უკრაინის მხარესაა, თუმცა რუსეთი ცდილობს დრო გაჭიმოს და ზამთრის პერიოდი გამოიყენოს, რათა ძალთა მობილიზება მოახდინოს — გაწვრთნას მობილიზებული კონტინგენტი, რომელიც ჯერჯერობით ბრბოა და არა ჯარი. გარდა ამისა, შეავსოს თავისი შეიარაღების ამოწურული რესურსები. უკრაინელებს ერთი სუსტი წერტილი აქვთ — რუსეთმა მოახერხა შეგნებულად გაენადგურებინა უკრაინული ინფრასტრუქტურის დიდი ნაწილი, რაც ზამთრის მოახლოებასთან ერთად, შესაძლოა, კატასტროფული შედეგებით დასრულდეს. უკრაინის დიდ ნაწილს არ მიეწოდება ელექტროენერგია, წყალი და, რაც მთავარია, არ აქვთ გათბობა. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, როგორ გაგრძელდება პროცესები ზამთრის შემდეგ. თუ რუსეთმა ტაქტიკური, მცირე კალიბრის ბირთვული იარაღი არ გამოიყენა, მისი გამარჯვების შანსები ძალიან დაბალია. ხშირად ისმის ვარაუდები, რომ რუსეთი, დამარცხების შემთხვევაში, დაიშლება. მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ დასავლეთის ამოცანა რუსეთის დაშლა კი არა, მისი დასუსტებაა. დასავლეთი, პირიქით, რუსეთის დაშლის წინააღმდეგია, რადგან მიაჩნია, რომ ასეთ შემთხვევაში უზარმაზარ ტერიტორიაზე წარმოიშვება უკონტროლო ქაოსი და, რაც მთავარია, ჩიხური ექსპანსია განხორციელდება აღმოსავლეთ რუსეთში, რისი შეკავებაც შეუძლებელი იქნება. ამიტომ, დასავლეთს სჭირდება დასუსტებული რუსეთი, რომელიც შეძლებს, მასთან ერთად მომავალში პეკინის ამბიციები შეზღუდოს.

**— თქვენ ახსენეთ, წარმატება უკრაინისკენ უფრო არისო. რუსეთის არმიის უძლეველობაზე ლეგენდები დადის. რატომ განიცდის რუსული ჯარი უკრაინაში მარცხს?**

— მიზეზები შემდეგია: პირველი, რუსეთმა თავიდანვე არასწორი გათვლები გააკეთა. სამხედრო თვალსაზრისით ომი ორიენტირებული იყო მაქსიმუმ ერთ თვეზე. მეორე ის გახლავთ, რომ რუსეთის არმიამ პირველივე ბრძოლებში სერიოზული მარცხი განიცადა. უკრაინამ მობილიზაცია პირველივე დღეებში გამოაცხადა, თანაც, მას ზაფხულისთვის უკვე ჰყავდა კარგად გაწვრთნილი 700-ათასკაციანი არმია, რუსეთი კი საწყისი მობილიზებულობის დონეზე, დაახლოებით, 250-ათასი კაცის იმედზე დარჩა და მობილიზაცია დააგვიანა. მესამე ის გახლავთ, რომ ტექნიკური თვალსაზრისით, უკრაინას მთელი დასავლური სამყარო ეხმარება. მათი ტექნიკური მაჩვენებლები, შეიარაღების თვალსაზრისით, უფრო მაღალია, ვიდრე რუსების. პლუს, რუსეთის არმია ტექნიკურ ატრიბუტიკას უცხო ქვეყნებში იძენს, თანაც, სანქციებმა ეს პროცესი შეაჩერა.

**— თქვენ ახსენეთ, ბირთვული იარაღის გამოყენების გარეშე რუსეთს ომის მოგება გაუჭირდებაო. ამის საფრთხე რამდენად რეალურია და თუ დარტყმა შავ ზღვაზე განხორციელდა, რა ემუქრება საქართველოს?**

— საქართველოს, ეკოლოგიური თვალსაზრისით, საფრთხე ყველა ვარიანტში ემუქრება. შავ ზღვაზე დარტყმა აუცილებელი არ არის. ჩერნობილის ტრაგედიას თუ გავიხსენებთ, დნეპრის მიერ შავ ზღვაში ჩატანილმა კატასტროფის ნარჩენებმა, ეკოლოგიური თვალსაზრისით, უარყოფითი როლი შეასრულა. ასე რომ, არა მარტო საქართველოს, არამედ საკმაოდ მოშორებით მყოფ სხვა ქვეყნების ეკოლოგიასაც სერიოზული ზიანი მიადგება. ამ შემთხვევაში ლაპარაკია მხოლოდ მცირე კალიბრის ტაქტიკურ იარაღზე. ბირთვული იარაღის გამოყენების შემთხვევაში დედამიწას რა დაემართება, კაცმა არ იცის.

**— რუსეთის დაშლის ან თუნდაც დასუსტების შემთხვევაში, რა ელის საქართველოს? ჩვენ ხომ გარშემო მუსულმანურ რკალში ვართ?**

— რუსეთი, გარკვეულწილად, პოლიტიკური ისლამის ექსპანსიის შემაკავებელი ფაქტორია. გარდა ამისა, რუსეთი თუ დაინგრევა, ეს მეზობელ ქვეყნებზე უზარმაზარი დარტყმა იქნება, რადგან ისეთი ქაოსი წარმოიშვება, რაც წლების განმავლობაში დამანგრეველი იქნება მთლიანად რეგიონისთვის ეკონომიკური, მორალური, ჰუმანიტარული თუ სხვა არაერთი თვალსაზრისით. თან დაშლილი, უკონტროლო რუსეთი, სადაც უზარმაზარი ბირთვული იარაღის მარაგი არსებობს, გაფიქრებაც არ მინდა, რას მოიმოქმედებს. ამ მიმართულებით აპოკალიპტური სურათის დახატვა შეიძლია. რუსეთის პოლიტიკური ამბიციების შეჩერებაზე საუბარი და, ზოგადად, ექსპანსიონისტურ პოლიტიკაზე, თორემ ისე, დაშლილი რუსეთი უაღრესად დიდი საფრთხის შემცველია, როგორც რეგიონისთვის, ისე მთელი მსოფლიოსთვის.

**— რეგიონულ პოლიტიკასაც შევეხოთ. როგორ შეაფასებთ, ალიევის ვიზიტს საქართველოში?**

— ეს ვიზიტი იმ გარემოებებიდან იყო გამოწვეული, რაც ბოლო თვეების განმავლობაში შეიქმნა. იგულისხმება დასავლეთის ენერგოშიმშილი. მიმაჩნია, რომ საქართველოს ხელისუფლებამ სწორი ნაბიჯი გადადგა შემდეგი მიმართულებით: დაიწყო იმის დემონსტრირება, რომ დასავლეთს უნდა აწყობდეს არა ომში ჩართული, არამედ სტაბილური საქართველო, რომელიც დასავლეთისთვის ენერგომომარაგების კუთხით მნიშვნელოვანი ფაქტორია. პრემიერ ღარიბაშვილის ვიზიტები ცენტრალურ აზიაში, შუა აზიაში, უზბეკეთსა და თურქმენეთში, ასევე, ორიენტირებული იყო ზუსტად იმაზე, რომ დასავლეთისთვის ენერგომატარებლების მიწოდების გზით კონსოლიდირებული მხარდაჭერა დაჩქარებულიყო. მოგეხსენებათ, არსებობს უამრავი პროექტი, რომ ცენტრალური აზიის ენერგომატარებლები კასპიის ზღვის გავლით ევროპაში წავიდეს, მაგრამ ყველაფერი რუსეთისა და ირანის ფაქტორის გამო ჩერდება. ობიექტურად თუ ვიტყვით, აზერბაიჯანს ამის გაკეთება მაინცდამაინც არ უნდოდა, რადგან მაშინ ამ საქმეში რეგიონში დომინანტი ვერ იქნებოდა. ჩემი აზრით, დასავლეთის პოლიტიკურ წრეებში გაჩდნენ ადამიანები, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ ეს საქმე, აზერბაიჯანის პოზაში დგომის მიუხედავად, გასაკეთებელია. რუსეთს დღეს არ აქვს იმის საშუალება, რომ კასპიის ზღვა ისე აკონტროლოს, როგორც აქამდე აკონტროლებდა. ირანის პრობლემის მოგვარება შეიძლება. ამიტომ ეს უნდა ამუ-



6 გვ. →

# შესაძლოა, ევროპამ საქართველო დაკარგოს...



4 გვ.

**საკუთარი მოსაზრებები რეალური ჰგონიათ.** ეს ექიმი კი თავის სახელს უფრთხილდებოდა და წავიდა, ავტორიტეტი არ გაიფუჭა. პარადოქსი, იცით, რა არის? — ვერავინ ამბობს, მიშა ავად არისო. ვთქვათ, გაამანშალეს დოკუმენტი, რომ სააკაშვილი ავად არის და იგი უცხოეთში გააქანეს. მას ფსიქიკური პრობლემებიც აქვს. ანუ, ფსიქიკურად ჯანმრთელი არ არის. სააკაშვილისთვის ასეთი დიაგნოზის დასმა ავტომატურად გულისხმობს,





რომ იგი პოლიტიკისთვის მკვდარია. ციხეში მყოფი ადამიანი შეიძლება პოლიტიკაში დაბრუნდეს და მას ტაშით შეხვდნენ, რისი მაგალითიც არის ნელსონ მანდელა, მაგრამ ფსიქიკურად მძიმე ავადმყოფის პოლიტიკაში შემოსვლა, რომელიც თავის მოქმედებებზე პასუხისმგებელი არ არის, გამორიცხულია.

**— ბატონო რამაზ, გასულ კვირას ივანიშვილის ნათესავებს სანქციები დაუწესეს. ამერიკა რამდენად დაუჭერს მხარს ამ სანქციებს?**

— ზემოხსენებული სანქციები უკრაინის მასშტაბისაა. რაც შეეხება აშშ-ის მიერ სანქციების მხარდაჭერას, ამერიკელებმა არაერთხელ თქვეს, რომ ეს პროცესი ასე მარტივი არ არის და დიდი კვლევის საგანია. საბუთი იმისა, თითქოს ივანიშვილი რუსეთს „გაზპრომის“ მეშვეობით ფულის მიღებაში ეხმარება, ვერ წარმოადგინეს. ვთქვათ, აშშ-მ სანქციები დააწესა. ამერიკას აწყობს ახლა საქართველოს გადამტერება, მისგან დისტანცირება?! მას აწყობს საქართველოში გავლენის დაკარგვა?! — რა თქმა უნდა, არ აწყობს. იმიტომ, რომ სხვა მოცემულობა იქმნება — ახლა ჩინეთიდან წამოსული მთელი ტრანზიტი კავკასიაზე გადის — კარიბჭე საქართველოა. ამ კარიბჭეს ერთი მხრიდან რუსეთი, ხოლო მეორე მხრიდან თურქეთი ეჯაჯგურება. აბა, დავფიქრდეთ, ამერიკას აწყობს, რომ საქართველო გადაიმტეროს და იმ მდგომარეობამდე მიიყვანოს, რომ რუსეთმა ან თურქეთმა მასზე გავლენა იქონიოს?! — არა, ხომ. კონკრეტულად როგორ მოიქცევიან დეგნანი და მსგავსნი, ეს ჯერ კიდევ არ არის ამერიკის ბოლომდე გააზრებული პოლიტიკის პროდუქტი. თანაც ამერიკას თავის გასაჭირი აქვს, მაგრამ ეს ცალკე თემაა.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# დასავლეთს არა ომში ჩართული, არამედ სტაბილური საქართველო უნდა აწყობდეს

5 გვ.

შავდეს. მიმაჩნია, რომ ამ ვითარებაში ქართული მხარე სწორად ჩაერთო. სხვათა შორის, ორბანთან ვიზიტის დროსაც გამოჩნდა, რომ საქართველოს პრემიერი უნგრეთში სწორედ ენერგეტიკულ საკითხებთან დაკავშირებით ჩავიდა. თუ მიაქციეთ ყურადღება, დუბაის ვიზიტიც ინვესტორების საკითხის მოგვარებას უკავშირდებოდა. გარდა იმისა, რომ ეს გარკვეული ქვეყნისთვის ეკონომიკური დივიდენდები იქნება, ეს ემსახურება ამ კონფლიქტში საქართველოს როლის პოლიტიკურ სწორ შეფასებასაც, არა საომარს, არამედ ეკონომიკურად აქტიურს. თუ ეს ყველაფერი გამოვიდა და მსხვილმა მოთამაშეებმა ხელი არ შეუშალეს, ამ შემთხვევაში ეს რეგიონში სიმეტრიის დაცვის ძალიან მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება, რადგან ზოგიერთმა რეგიონულმა მოთამაშემ თამასა ასწია და იმაზე უფრო მაღლა გადახტომა მოინდომა, ვიდრე შეუძლია.

**— რაც შეეხება ორბანთან გამართულ ვიზიტს. ევროკავშირთან მიმართებით რამდენად არის უნგრეთის პოლიტიკა მისაბაძი?**

— ჩემთვის ეს ქვეყანა სამაგალითო არ არის, მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ უნგრეთის პოლიტიკურ სისტემას ყურადღებით არ უნდა მივადევნოთ თვალი. იმიტომ, რომ ზოგიერთი იდეოლოგიური მიდგომა, რომელიც უნგრულ პოლიტიკურ ელიტას აქვს, ჩვენთვისაც საინტერესოა. ვგულისხმობ ტრადიციონალიზმის თავისებურ ხედვას, კონსერვატიზმის გარკვეულ მიდგომებს. მიმაჩნია, რომ ფსევდოლიბერალისტურ საზოგადოებას, რომელსაც თბილისში კარგად აქვს ფეხი მოკიდებული, ეს არ მოსწონს. უნგრეთი ძალიან მნიშვნელოვანი და საინტერესო ქვეყანაა. სხვათა შორის, როცა 2017 წელს ლტოლვილთა ნაკადი მოაწყდა, უნგრეთმა საკუთარი ინტერესების დაცვა ისე მოახერხა, რომ პრაქტიკულად, ეს დარტყმა თავის თავზე არ მიუღია. ასე რომ, ამ ქვეყანაში უარყოფითი მხარეები არის, მაგრამ საინტერესო და გადმოსაღებიც ბევრია. რაც შეეხება იმას, რომ უნგრეთი ევროკავშირის თავის ტკივილია — განიხილებოდა საკითხი უნგრეთისთვის სტატუსის შეჩერების შესახებ, მაგრამ ამის გაკეთება ვერ გარისკეს თუნდაც იმიტომ, რომ ევროკავშირის ყველაზე დიდი თავის ტკივილი დღეს, პოლონეთია, რომელსაც თავისი აბსოლუტურად შეუვალი პოზიციები აქვს და ევროკავშირს ბევრ რამეში არ ეთანხმება. საერთოდ, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები ცდილობენ საკუთარი პრინციპების დაცვას, რაც არ მოსწონთ ძველი ევროპის წარმომადგენლებს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ამის გამო ევროკავშირი დაიშლება.

**— როგორ აღიქვამთ ნატოში საქართველოს გაწევრიანების თაობაზე ღარიბაშვილის მიერ გაკეთებულ განცხადებას მაშინ, როცა უკრაინაში მიმდინარე ომის ფონზე შავი ზღვის უსაფრთხოების საკითხებზე აქტიური კონსულტაციები მიმდინარეობს?**

— საქართველოსთან მიმართებით, რასაც ნატოს მესვეურები ლაპარაკობდნენ, განსაკუთრებით ძველი ევროპის ხელმძღვანელები — გერმანია, ესპანეთი, საფრანგეთი, ანუ ბუქარესტის სამიტზე რაც მოხდა, დღეს ეს აქტუალური აღარ არის. თუ ნატოს სურს, რეგიონში თავისი საყრდენი ჰყავდეს, მაშინ ეს ნაბიჯი უნდა გადადგას. ის ხიფათი, რომ რუსეთმა ამის გამო საქართველოს წინააღმდეგ შეიძლება სამხედრო მოქმედებები წამოიწყოს, პრაქტიკულად გამოშიგნულია. რუსეთს დღეს ამისი თავი არ აქვს. რასაკვირველია, გაწევრიანება ორ-სამ დღეში არ მოხდება, მაგრამ ეს დროულად უნდა განხორციელდეს. იმიტომ, რომ ნატოს ხელმძღვანელობის მხრიდან ღია კარის პოზაში დგომა, უბრალოდ, სასაცილო ხდება. ჩვენ, ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით გვედავებიან, რითაც ასევე, კომიკურ სიტუაციაში იგდებენ თავს. ამ დროს ვხედავთ, რომ თავად ნატოს წევრ ქვეყნებში გამოსადავებელი ბევრია. მაგალითად, ჩვენს მეზობელ აზერბაიჯანთან გაუთავებელი რევერანსები აქვთ მიუხედავად იმისა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით იქ სერიოზული პრობლემებია. თანაც ვიცი, როგორც მუშაობს





აზერბაიჯანული დიპლომატია. ეს თავადაც კარგად იციან. ბულგარელმა ჟურნალისტებმა მოკვლევა ჩაატარეს და სკანდალური დოკუმენტები გამოაქვეყნეს. კი ბატონო, აზერბაიჯანი ევროკავშირისკენ არ მიილტვის, მაგრამ აქ ამ სტრუქტურაზე კი არ არის ლაპარაკი, არამედ ევროპარლამენტარების მოქმედებებსა და კორუმპირებულობაზე. ნათქვამია: ისეთმა ფურმა დამწიხლოს, ჩემზე მეტს რომ იწველისო. როცა ჩვენი ნატოში ან ევროკავშირში მიღება არ უნდათ, ასეთ არგუმენტებს მაშინ იყენებენ. განა ვამბობ, რომ ეს არგუმენტები სიმართლეს მოკლებულია. რაღაც ნაწილი სიმართლეა, მაგრამ აქ პოლიტიკური მიზანშეწონილობის საკითხია, თუ როგორი ვითარებაა ამ ქვეყანაში. ალბანეთზე კრიმინალური ქვეყანა ევროპაში კი არა კავკასიაშიცკი არ არსებობს, მაგრამ ხომ მიიღეს! ჩვენს შემთხვევაში პოლიტიკური მიზანშეწონილობიდან უნდა გამოვიდნენ. ზამთრის დასრულების შემდეგ მეტის თქმა იქნება შესაძლებელი. მე არ ვიცი, როგორ გადაიტანს უკრაინა ზამთარს, ეს ძალიან რთული იქნება. ვინ მიაღწევს წარმატებას — რუსეთი თუ უკრაინა, ამაზე არ არის ლაპარაკი, არამედ ვინ გაიმარჯვებს — უკრაინა და დასავლეთი თუ რუსეთი. ამის მიხედვით შეიძლება მერე ვერსიების დემონსტრირება.

**— ომის დაწყებიდან უკრაინას საქართველოს მიმართ არამეგობრული დამოკიდებულება აქვს. რა ახსნა აქვს ყოველივეს?**

— ამ ადამიანებმა იმდენი ქნეს, თითქოს ჩვენი მთავრობის წინააღმდეგ იყვნენ და ბოლოს ეს ყველაფერი საქართველოსთან დაპირისპირებაში გადაიზარდა. უკრაინის ხელმძღვანელობის ნაწილი გაიძვერა და გათახსირებული ადამიანები არიან. კარგად ვიცი მათი ბიოგრაფიები — როდის, ვის კარებთან იყვნენ ატუზულნი, იმის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ისინი სამარცხვინო ადამიანები არიან. იქ მყოფი „ნაცმოძრაობის“ წარმომადგენლები ისე ეფექტურად მუშაობენ, ზოგი უკრაინელი ხელისუფალი მართლა ფიქრობს, რომ საქართველოში უმძიმესი ვითარებაა, ზოგიც დასავლური პოლიტიკური ელიტის ზოგიერთი წარმომადგენლის გავლენის ქვეშ იმყოფება, რომელთაც ამის კეთება პოლიტიკური კონიუნქტურისთვის სჭირდებათ. ცალსახად ამ ადამიანების ერთიანად შეფასება მართებული არ იქნება. ვიცი, როგორი დაპირისპირება იყო რიგი საკითხების გამომზეურების შემდეგ უკრაინულ პოლიტიკურ ელიტაში. ზოგი არამხოლოდ გაიძვერაა, არამედ ზოდიაქოს მიხედვითაც კი იდიოტია. ქართველი ქართველს, რომ ავნებს, არ ვიცი, სხვა რომელ ერს შეუძლია ამის გაკეთება!

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# უკრაინა, რომელიც საქართველოში უკვე იყო...

ზედმიწევნით კარგად გავიგეთ, ვის უდგანან მხარში პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ გულშემატკივარი ქართველები უკრაინაში — მათივე პარტიის ლიდერების მეგობრების ერთი მუჭა ნაწილის მისწრაფებებს და არავითარ შემთხვევაში უკრაინელ ხალხს. ერთი რომ იხუვლოს იმ „ვიღაც ხალხმა“ და კრებსითი არესტოვიჩ-ზელენსკების შაყისკვრა განიზრახონ, მაშინაც იმავე უკრაინელ ხალხს დაუჭერენ მხარს, ახლა რომ ნიანგის ცრემლებს აღვარღვარებენ მათ გამო? რა თქმა უნდა, არა.

უკრაინა საქართველოში არაერთხელ იყო, მაგრამ მე რასაც მოვესწარი, ერთი თავშიხელწაშენილი უკრაინელი არ მაგონდება, რომ ქართველებისთვის რაიმე გულითადად გაეღო. ის კი კარგად მახსოვს, ზელენსკი რომ სცენიდან დაგვცინოდა 2008 წლის აგვისტოს ომის თემით, ახლა კი ჩვენს მიერ გაღებულ მრავალმხრივ სიკეთეზე მადლობის თქმის ნაცვლად, მათ ლანძღვას ბოლო არ უჩანს.

ამჯერად ეს საკითხი გვერდზე გადავდოთ და ის ვთქვათ, რანაირად დაემსგავსნენ ასე ერთმანეთს უკრაინელი და ქართველი ტაკიმასხარები, რომ დღეს, ამ გაგანია ომის დროს, როცა მე-9 თვეა, გამუდმებით იბომბება უკრაინა და ამდენი მსხვერპლია, დამდგარა ეს სამარცხვინო დმიტრი კულება, უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრი და ამბობს: „ვფიქრობ, უკრაინაში მკვეთრად იმატებს შობადობა. უშუქოდ დარჩენილ ადამიანებს მეტი დრო ექნებათ სასიყვარულო ურთიერთობებისთვის. უკრაინელები ყოველთვის ვპოულობთ გამოსავალს რთულ სიტუაციებში“. ეს ტიპი იდიოტია თუ ჩვეულებრივი ზნედაცემულია, წარმოუდგენელია საკუთარი ხალხის ასე მასხრად აგდება!

რომ ვთქვა, დიდად გავოცდიმეთქი, ვიცრუებ, რადგან ერთმანეთის მსგავსებს სხვა აზრი არც მოუვათ, ამ ჩვენმა გიჟ-ვრაცუამ სულაც ბუჩქებისკენ მიუთითა მოზარდებს და ამისგან რაღა უნდა გაგიკვირდეს. რა თქმა უნდა, იმათაც და ჩვენებსაც ერთნაირი ღირებულებები უნდა ჰქონდეთ და აქვთ კიდეც...

ამ უმგვანოს იმას ვინ ათქმევინებდა, ომის მომგები ჩვენ არ ვართ და რაღაცით ხომ უნდა დაკავდეთ, რომ მაინცდამაინც არ შეგაწუხოთ შიმშილმა და წყურვილმაო. გუშინ ვნახე კადრები, რამხელა რიგი იდგა სასმელ წყალზე კიევში...

პოლონეთის ყველა უმაღლესი პირი ამბობდა და იტყვის, რომ უკრაინის ევროპულ არჩევანს მომავალშიც მხარს დაუჭერს; რომ, როგორც მდიდარი და მშვიდი მეზობელი, პოლონეთისთვის აუცილებელი პირობაა, მანაც უსაფრთხოდ რომ იგრძნოს თავი, რადგან დაყოფილი და შიდა ბრძოლებით გაყოფილი უკრაინა ადრე თუ გვიან სერიოზული პრობლემა გახდება მთელი რეგიონისთვის და ა.შ. ტკბილ, საამო და მეგობრულ-მეზობლურ ფრაზებს ხშირად გაიგონებთ, მაგრამ რა ხდება რეალურად? მე ვიცი, კავკასიონის ქედსგადმოღმა და იმის იქით, ერთი ხელის გაწვდენაზე არ იციან, რომ პოლონეთი ბულგარეთთან, უნგრეთთან, რუმინეთთან, სლოვაკეთთან და თურქეთთან ერთად ის ჩასაფრებული სუბიექტები არიან, რომელთაც თავის დროზე უკრაინამ მოსტაცა ტერიტორიები, რომ აღარაფერი ვთქვათ ყირიმის ნახევარკუნძულზე (ყირიმის სახანო), რომელიც პირადად უკრაინას არ მიუტაცია, რისი მიმტაცებელი იყო, მიართვა საზიზღარმა საბჭოთა რუსეთმა...

უკრაინას რა ელის, ერთია და რა ელის საქართველოს, ჩვენთვის უმთავრესი უნდა იყოს — სამცხე-ჯავახეთის საქართველოს საზღვრებში ყოფნა-არყოფნის საკითხის გასაღები კვლავ იქ რომ დევს, სადაც აფხაზეთისა და სამაჩაბლოს გასაღები იდო, განგებ ივიწყებენ, თუ როგორ არის ამათი საქმე?

ბოლივიის პრეზიდენტმა ევო მორალესმა თქვა: ერთადერთი სახელმწიფო, სადაც შეუძლებელია სახელმწიფო გადატრიალება, მოხდეს ეს ამერიკის შეერთებულია



შტატებია, ვინაიდან იქ არ არის აშშ-ის საელჩოო...

კიევში მიმდინარე მოვლენებში აშშ-ის ჩარევამ პრეზიდენტ რეიგანის ყოფილ სპეციალურ მრჩეველს დუგლას (დუგ) ბანდოუსაც კი აალებინა კალამი ხელში. ჟურნალ „ფორბსში“ გამოქვეყნდა მისი სტატია სათაურით „უკრაინაში ნარინჯისფერი რევოლუცია ბრუნდება?“ ანალიტიკოსმა ღიად გამოხატა საკუთარი დამოკიდებულება აშშ-ის პრეზიდენტსა და მისი ადმინისტრაციის მიმართ.

დუგლას (დუგ) ბანდოუ: „ვისთან გააფორმებს კიევი ეკონომიკურ კავშირს, ევროპასთან თუ რუსეთთან, აშშ-ს არ ეხება, ამიტომ პრეზიდენტის ადმინისტრაციამ თავი უნდა შეიკავოს კიევში განვითარებულ პროცესებში ჩარევისგან.

უსაფრთხოების თვალსაზრისით, უკრაინაში რუსეთის მოქმედება საფრთხეს არ უქმნის აშშ-ს, აშშ-ის მოქმედებაზე კი ამას ვერ იტყვი — ნატო-ს ექსპანსია რუსეთის სამხრეთ საზღვრებთან, შეუძლებელია, რუსეთისთვის შემაშფოთებელ პროცესად არ განიხილო. ეს ისეთივე მოვლენაა, „ვარშავის ხელშეკრულების“ წევრი ქვეყნები მექსიკამდე რომ გაფართოვდნენ...

არათუ დღე, საათიც კი არ გავა ისე, რომ ვაშინგტონი სხვა ქვეყნის ხელისუფლების მოსყიდვას ან შეშინებას არ შეეცადოს. აშშ-ის სახელმწიფო მდივანი განუწყვეტლივ მოგზაურობს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში და ჭკუას არიგებს ხალხებს, როგორ უნდა მოიქცნენ...

„ცივი ომის“ დასრულების შემდეგ აშშ იქცა სახელმწიფოდ, რომელიც დასახული მიზნების მისაღწევად რეგულარულად იყენებდა სამხედრო ძალას. ვაშინგტონს, როგორც ჩანს, ვერ წარმოუდგენია ერთი პრობლემაც კი, რომელიც შეიძლება აშშ-ის ჩაურევლად გადაწყდეს, მაგრამ უკრაინის სტატუსი სწორედ ასეთ საკითხებს განეკუთვნება.

დასავლეთის ფარისევლობისგან სუნთქვა მეკვრის!“ — ეს კაციც „რუსეთუმე“ ყოფილა...

აკი ვთქვი, უკრაინა საქართველოში უკვე იყო-მეთქი, განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ საქართველო ტერიტორიულადაც პატარაა და მოსახლეობით ხომ საკუთარ ქვეყანას ძლივს ვაჩნევივართ. შესაბამისად, ჩვენთან ყველაფერი მცირე ხანზე და მცირე მასშტაბებზეა გათვლილი...

ერთადერთი ქცევა, რაც მიხეილ სააკაშვილისგან მისი არსებობის მანძილზე მომეწონა, ის იყო, ძალიან რომ შეეშინდა რუსული ტანკების და ჰალსტუხის ჭამა დაიწყო. მას რომ ასე ძლიერ არ შეშინებოდა, მსხვერპლიც განუზომელი იქნებოდა პატარა საქართველოსთვის და ნგრევაც, გაუბედურებული ოჯახებიც და დაინვალიდებული ადამიანებიც. დაწყევლილი 08.08.2008-ის მთლად ასე უცბად მომთავრებაც ვერ წარმოედგინათ, ალბათ, მაგრამ მომთავრდა. რა მშვენიერი ყოფილა ზოგჯერ მშიშარა კაცის მეგობარმომსპარი ქვეყანა. დიახ, მშიშარა კაცის, თორემ პრეზიდენტი რომ სიმბოლურად ერქვა, ერთი ჩვეულებრივი ღორმუცელა ფაშა იყო თავის ნაზირ-ვეზირებითა და ჰარამხანით, მხოლოდ ჩვენ კი არა, მთელმა მსოფლიომ იცოდა, ალბათ, ანტარქტიდელი პინგვინების ჩათვლით.

ჩვენსა და უკრაინას შორის განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ მას ლამის მთელი ევროპა და აშშ უდგას გვერდში ნატოთი და მისი ცოცხალი ძალითა თუ ტექნიკით, რუსეთის მიერ საქართველოს დაჩაგვრაზე კი იგივე ქვეყნები მხოლოდ ძალიან აღშფოთებულები და შეშფოთებულები იყვნენ იმდენად, რომ 26 000 მდინარის, ზღვის, ტბებისა და მყინვარების ქვეყანას მხოლოდ წყალი მოგვაშველეს სასწრაფოდ...

მცირე ხნით ეყუყუნენ რუსეთს რაღაც ექვს პუნქტზე და მერე ეგეც მოსწყინდათ, ცხადი იყო, რომ ვერაფერს გამორჩებოდნენ ვერც რუსეთსა და ვერც საქართველოს, ბეჭი რატომღა ამოეგდოთ ტყუილად გაქაჩვისგან...

„საქართველოს სტრატეგიული პარტნიორი“ რატომ ერქვათ ან დღემდე რატომ ჰქვიათ, კაცმა არ იცის, საქართველოს მოქალაქეებმა მხოლოდ ის ვიცით, რომ სააკაშვილისა და მისი ნაცბანდის სტრატეგიული პარტნიორები იყვნენ რაღაც საეჭვოში, სხვაგვარად, არაფრით არ ამოუვიდოდათ მზე და მთვარე ერთმანეთზე. ისე იყვნენ „საქართველოს მეგობრები“ კონკრეტული პირთა ჯგუფითა და მათი ატმანით საიდუმლო ხიბლით დატყვევებულები, ხალხს რომ სცემდა და აუპატიურება მათი საყვარელი ვარსკვლავბიჭუნას ზონდერრაზმი, თვალს, ყურსა და ენას ერთდროულად ხუჭავდა და მსუბუქ წაწკიპურტებაში უთვლიდა, ვითომ, ხეს რომ ჭრიან, ნაფოტები ცვივაო; ვარდი უეკლოდ ვის დაუკრეფიაო — ვითომ ქვეყნის აღმშენებლობისა და გადემოკრატიულებითვის ასეთი მსხვერპლი თანმდევი და აუცილებელი იყო...

„ვარსკვლავბიჭუნამ“ ვერ გაამართლა, ძალიან გადაჰყვა კაიფგულავს და გაშტერდა, ჩაუვარდა მისია და გულიც აიცრუეს მასზე. ზელენსკი და მისი რაზმი მიშას გამონაცვალი კადრებით ისე კარგად ასრულებენ ყველა მითითებას, ახლა მათ შეუყვარდათ ერთმანეთი ისე ძლიერად, რომ ომი კიდევ კარგახანს არ დაუმთავრდებათ...

აქა-იქ ვიღაც იკითხავს ხოლმე, უკრაინელები რატომ არ იღებენ ხმას, რომ გაგლიჯონ შუაზე მათი ამ დღეში ჩამგდებებიო — ჩვენ რატომ ვერ ვგლეჯდით?

ნამდვილად არ უჩანს პირი უკრაინის გაცამტვერების დასასრულს. დიდია და მდიდარია უკრაინა, დასანგრევიც კიდევ ბევრია, ჯერ რა დროსია. მთავარია, დანგრეულის ამღდგენ უცხოურ კომპანიებთან მოლაპარაკებები დაწყებულია და მსოფლიო ბანკს უკვე დაანგარიშებული აქვს, რა თანხა დაჯდება დანგრეული უკრაინის აღდგენა — ომი ჯერ არ დამთავრებულა, იმათ რანაირად დაიანგარიშეს, საიდან იციან წინსწრებით, რამდენი იქნება ზარალი?

უკრაინას ვერ დაანახა საქართველოს მაგალითმა, რას მოიმოქმედებდა რუსეთი, ახლა ჩვენ მაინც არ დავივიწყოთ, რა აქვს ჩადენილი და გავიაზროთ, რას აკეთებს ახლა. იმდენს ხომ მაინც უნდა მივხვდეთ, რომ სამხედრო ქმედებით ვერაფერს გავხდებით რუსეთთან.

როდესაც საქართველოში პრორუსული განწყობის ზრდაზეა საუბარი, ზოგს უკვირს, რამ დააჩლუნგა ეს „რუსეთუმეები“, ძლივს გამოვძვერით რუსეთის უკანალიდან და უკანვე უნდათ შეძვრომაო. ერთიდან გამოძვერი და ათას უკადრებელ უკანალში რომ ეკვეტები და გაკვეხებენ?

ხალხს არავინ არაფერს ეკითხება, თუმცა ვერც პირს აუკრავს ვინმე და წყევლა-გინების თანხლებით მიმდინარეობს აზრთა გაცვლა-გამოცვლა, რაც მოკლედ ასე ყალიბდება: „არც წასულ და არც მოსულ ხელისუფლებას ხალხის აზრი არ აინტერესებს. არადა, რუსეთთან ურთიერთობის აღდგენით ხალხი ამოისუნთქებს, თითქმის გათურქებული აჭარაც გადარჩება, სამცხე-ჯავახეთიც და ბევრი სხვა სასაზღვრო რაიონის საეჭვო მდგომარეობაცო.

ერთხანს რუსეთის პრეზიდენტმა რომ განაცხადა, აფხაზები და ქართველები თუ შეთანხმდებიან, რუსეთი გვერდზე დაუდგებაო, ვინ დაგვალაპარაკა ერთმანეთთან, ამერიკის ელჩს ფორმულა ჰქონდა ასეთი: უთხარით, ჯერ ოკუპირებული ტერიტორიები დააბრუნოსო.

პარადოქსია! თუ რუსეთია ოკუპანტი და მას ჩვენი ტერიტორიები აქვს ოკუპირებული, ვის ინტერესში უნდა იყოს მასთან დიალოგი, ვისთან უნდა გადაწყდეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხი — აშშ-ევროპასთან?

რუსეთთან დიალოგის სოხუმ-ცხინვალით დაწყება იმას ჰგავს, შენობის შენება სახურავიდან რომ დაიწყო და არა საძირკვლიდან. ერთი სიტყვით, ან ნაცარქექია-ხელისუფლება გვყავს, ან აშშ-ის დირექტივებით მოქმედებს.

რუსეთთან მოლაპარაკებას ალტერნატივა არ გააჩნია, მაგრამ ეს ჩვენი ხელისუფლება აშკარა ზეწოლას განცდის აშშ-ის მხრიდან და ხალხმა რამე უნდა მოიმოქმედოს — „არა აშშ-ს!“ მაინც ვიყვიროთ, ეგება, გზიდან გაიგონოს ვინმემ და „გადმოგვეშველოს...“

მახსოვს, სააკაშვილმა დაიჩივლა, რაში მჭირდება ლტოლვილების პრობლემების მოგვარება, მერე რაღაზე ვილაპარაკო ჩემს გამოსვლებში საერთაშორისო არენაზეო? ამათი საქმეც ასეა — ვთქვათ, დაველაპარაკეთ რუსეთს და ისიც ადგა და დაგვიბრუნა, რაც ჩვენია, მერე რაღა ვქნათ, რა მიზეზით ვლანძღოთ რუსეთი, ხომ მოგვეჭრება თავი კოლექტიურ დასავლეთთანო...

რუსეთის მხრიდან წამოსულ მნიშვნელოვან სიგნალებს (რაც არაერთხელ ყოფილა) კვლავ და კვლავ განუსაზღვრელი დროით დუმილი მოჰყვება საქართველოს მხრიდან? ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი საკითხებისადმი ასეთი მიდგომა ხელისუფლების პოზიციაა თუ აშშ-ის ელჩის მიერ ასეა ნაბრძანები?

აშკარაა, რომ საქართველოს ხელისუფლება ანტირუსული განწყობით არის დაშანტაჟებული და იქვეა ჩარჩენილი... უკრაინის ხელისუფლების ქცევაც ერთობ უცნაურად ჩანს, თითქოს იძულებულია, დაელოდოს, როდის გაურიგდებიან ერთმანეთს აშშ და რუსეთი...

აშშ-სა და კოლექტიურ დასავლეთს უნდოდათ და უნდათ, საქართველო ღილივით ყოფილიყო უკრაინაზე მიკერებული, მაგრამ ვიღაცას „რამსები“ აერია. უკრაინა საქართველოში უკვე იყო ყველანაირი კუთხით. დიდი მადლობა, საჭირო აღარ არის. ამიტომ, რაც გვინახავს, აღარ გვინდა! უკრაინა, კი ბევრად სარფიანად გაიყიდება, უკაცრავად, დაქუცმაცდება!

ერთი მადლობა აღარ ეკუთვნის საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას მხოლოდ იმისთვის, რომ არც გვყიდის და არც გვაქუცმაცებს?!

**მაკა ჯაყელი**

# სანქციების მსოფლიო ისტორია

## ბიტკოინი, ნავთობი და ატომური ბომბი. რატომ არ შეაჩერა ირანმა ატომური პროგრამა?

**წერილს დასაბეჭდად ვამზადებდით, როცა ცნობილი გახდა, რომ ევროკავშირმა და ამერიკამ თითქოსდა რუსეთისთვის უპილოტო საფრენი აპარატების მიყიდვის ბრალდებით ირანის მიმართ ახალი სანქციების დაწესებას დაუჭირეს მხარი... პერსონალური სანქციები დაუწესა ირანს კანადამაც...**



40 წელიწადზე მეტია, ირანელი ხალხი უმკაცრესი სანქციების ქვეშ ცხოვრობს. ისლამური რევოლუციისა და დასავლეთის ქვეყნებთან ურთიერთობის გაწყვეტის შემდეგ ირანი სრულ ეკონომიკურ იზოლაციაში აღმოჩნდა. მიუხედავად მასშტაბური შეზღუდვებისა, ირანელებმა არა მხოლოდ ეკონომიკის ძირითადი დარგების შენარჩუნება შეძლეს, არამედ საკუთარი ბირთვული პროგრამის განვითარებაც დაიწყეს. ეს ძალიან აშფოთებს აშშ-სა და მის მოკავშირეებს, რომლებსაც თეირანში ყველაზე სავარაუდო მოწინააღმდეგეებად განიხილავენ. დასავლეთის ქვეყნები




ყველა ღონეს მიმართავენ, რათა არ დაუშვან, რომ ირანს ბირთვული იარაღი ჰქონდეს, აძლიერებენ მასზე ზეწოლას, მაგრამ ირანელები პროგრამის დახურვას არც კი ფიქრობენ.

1979 წლის 4 ნოემბრის ღამეს ირანის სტუდენტური ორგანიზაციების კოორდინატორებმა უნივერსიტეტების სტუდენტებს დაურეკეს და სთხოვეს, დილის 6 საათზე ამერიკის საელჩოსთან მისულიყვნენ. მათ თავიანთი ნაცნობ-მეგობრებს გააგებინეს და 9 საათისთვის საელჩოსთან ათასობით ადამიანი შეიკრიბა. ბევრ მათგანს ისლამური რევოლუციის ლიდერის რუჰოლა ჰომეინის ფოტო ეჭირა.

რამდენიმე ასეულმა ადამიანმა საელჩოზე შეუტია. დაცვამ ცრემლსადენი გაზის გამოყენება დაიწყო, მაგრამ მომიტინგეები ამან ვერ შეაჩერა და მალე საელჩოს ტერიტორიაზე ასობით ადამიანი შეიჭრა.

სტუდენტებმა განაიარაღეს ამერიკელი საზღვაო ფეხოსნები და მძევლად საელჩოს თანამშრომლები აიყვანეს.

ირანის ახალმა ლიდერმა აიათოლა ჰომეინიმ მოიწონა საელჩოს ალყაში მოქცევა და მას „დიდი ამერიკელი სატანის წინააღმდეგ რევოლუცია“ უწოდა.

სხვაგვარად შეაფასეს ყოველივე აშშ-ში. ამერიკის პრეზიდენტმა ჯიმი კარტერმა ირანის ხელისუფლების მოქმედებას ტერიტორრტული უწოდა, გაწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობები თეირანთან და რესპუბლიკასთან ყოველგვარი ფინანსური ოპერაციები შეაჩერა, რითიც უსასრულო სანქციებს დაუცო სათავე.

### მარტოობის ორმოცი წელიწადი

ნახევარი საუკუნის შემდეგ ირანი უკვე აღარ ჰგავს არაბული აღმოსავლეთის პროდასავლურ განვითარებულ სახელმწიფოს. ეკონომიკური რეცესია, დეფიციტი და თავდაცვაზე დახარჯული უზარმაზარი თანხები მოქალაქეების კეთილდღეობასა და ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელზე ძალიან ცუდად აისახა.

ირანელების პრობლემები მონარქიის დამხობისა და ქვეყნის სათავეში რადიკალური სასულიერო პირების მოსვლის შემდეგ დაიწყო. დიდი ხნის განმავლობაში ირანი აშშ-ისა და ევროპული ქვეყნების მოკავშირე იყო, 1970-იან წლებში ამ თანამშრომლობამ თვალნათელი შედეგები მოიტანა. ქვეყანაში დაიწყო უცხოური ინვესტიციების შედინება, ვითარდებოდა კერძო სექტორი, მანქანათმშენებლობა და მეცნიერება. ტრადიციული ქვეყანა მალევე იქცა განვითარებულ სახელმწიფოდ.

### რა არის „თეთრი რევოლუცია“?

შაჰ რეზა ფეჰლევის პროამერიკულმა რეჟიმმა ვერ შეძლო შიდა წინააღმდეგობების დაძლევა. წყობილების სწრაფი და რადიკალური შეცვლა არ მოსწონდა საზოგადოების კონსერვატიულ და რელიგურ ნაწილს. ამასთან, რეფორმებსა და სამრეწველო ზრდას, ქვეყანაში სოფლად არსებულ სიღარიბე, ოპოზიციური სასულიერო პირების წინააღმდეგ განხორციელებული რეპრესიები, ხაზინის ქურდობა და სოციალურ სფეროში ხელისუფლების არაკომპეტენტურობა ერწყმოდა.

ოპოზიციის რადიკალური ნაწილის მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდების შემდეგ ქვეყანა ძირფესვიანად შეიცვალა. მისმა ლიდერმა რუხოლა ჰომეინიმ, რომელმაც ჯერ კიდევ 1950-იან წლებში მიიღო აიათოლას ტიტული (უმაღლესი სასულიერო წოდება შიიტურ სასულიერო იერარქიაში), განაცხადა ისლამურ რესპუბლიკაზე გადასვლისა და საზოგადოების შარიატის წესებით შეცვლის თაობაზე. რეჟიმის ცენტრალურ იდეად დასავლურ ფასეულობებთან და ამერიკულ იმპერიალიზმთან ბრძოლა გამოცხადდა.

ვაშინგტონი არსებულ სიტუაციას არ შეურიგდა. ამერიკელები დაეხმარნენ შაჰს საზღვარგარეთ გამგზავრებასა და კორუფციის გზით მოპოვებული სიმდიდრის გატანაში. ირანის მთავრობამ ამაზე მყისიერად უპასუხა — 1979 წლის 4 ნოემბერს რევოლუციის მომხრეებმა ხელში ჩაიგდეს ამერიკის საელჩო თეირანში და მძევლად 66 ადამიანი აიყვანეს. სწორედ ეს მოვლენა გახდა ამერიკელების მიერ პირველი სანქციების დაწესების პირველი მიზეზი, რასაც შეზღუდვების მთელი რიგი მოჰყვა.

სანქციები კიდევ უფრო გამკაცრდა 1980-იანებში, როცა ირანი ტერორიზმის სპონსორ სახელმწიფოდ გამოცხადდა.

ეს მას შემდეგ მოხდა, რაც ირანის ხელისუფლებამ მთელ ახლო აღმოსავლეთში ისლამური პოლიტიკური მოძრაობების სპონსორობა დაიწყო. ზოგიერთი მათგანი ტერაქტებთან იყო დაკავშირებული. ყველაზე შესამჩნევი დარტყმა აშშ-მ ირანის შემოსავლების მთავარ წყაროს — ნედლეულის სფეროს მიაყენა. ტოტალური ემბარგო ირანს საშუალებას არ აძლევს, ნავთობი გაყიდოს საზღვარგარეთ, ქვეყანა ვალუტის შემოსავლის გარეშე დატოვა, რაც ტექნოლოგიების იმპორტისა და კრიტიკულად მნიშვნელოვანი რესურსებისთვისაა საჭირო.

2004 წელს სანქციებისთვის ახალი მიზეზები გაჩნდა. ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს ინსპექტორები ბირთვული საწვავის გამამდიდრებელ კვლევით ქარხანას ეწვიენ, რომელიც ქალაქ ნათანზეში მდებარეობს და შემოწმების შემდეგ აღმოაჩინეს ურანის კვალი, რომელიც იარაღის წარმოებაში გამოიყენება.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ბირთვული პროგრამა ჯერ კიდევ ირანის წინა ხელისუფლებამ დაიწყო. 1974 წელს მიიღეს ატომური ენერგეტიკის განვითარების გეგმა და დაისახეს გეგმა 20 წლის განმავლობაში 23 ატომური რეაქტორის აშენებისა და ბირთვული საწვავის შეკრული ციკლის შექმნის შესახებ. რევოლუციის შემდეგ დასავლეთელმა სპეციალისტებმა ირანი დატოვეს, მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ სამუშაოები გაგრძელდა ჩინეთის დახმარებით, 1992 წელს კი ირანმა და რუსეთმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას ატომური ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების შესახებ, რაც ბუშერში ატომური ელექტროსადგურის მშენებლობის დროს რეალიზდა.

მომდევნო ათი წლის განმავლობაში ირანში ურანის გასამდიდრებელი რამდენიმე კვლევითი ცენტრი და ქარხანა გაიხსნა. 2002 წელს ვაშინგტონმა ეჭვი შეიტანა, რომ თეირანი საიდუმლოდ განაგრძობს მუშაობას ბირთვული იარაღის შექმნაზე. მაშინ აშშ-მ ირანის სრული იზოლაცია მოითხოვა, მიუხედავად იმისა, რომ მტკიცებულებები არ ჰქონდა. ამიტომ საფრანგეთმა, გერმანიამ და დიდმა ბრიტანეთმა მხარი არ დაუჭირეს რადიკალურ ზომებს. მაგრამ ირანმა მაშინ ხელი მოაწერა ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ ხელშეკრულების დამატებით ოქმს, რომლის თანახმადაც, ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს ინსპექტორებს შეუძლიათ ნებისმიერი ობიექტის შეუძლიათ.

მორიგმა ამგვარმა შემოწმებამ ნათანზეში იარაღის ურანი აღმოაჩინა და ამ ჯერზე ამერიკის წარმომადგენლები გაეროს უსაფრთხოების საბჭოში ხელცარიელები არ მისულან. გაეროს უსაფრთხოების საბჭომ 2006-2010 წლებში ირანის წინააღმდეგ 6 რეზოლუცია მიიღო.

ირანს მთლიანად აეკრძალა სამხედრო პროდუქციის, ბირთვული მრეწველობისთვის საჭირო დანადგარების შეტანა, ასევე, ურანის გამდიდრებასთან და ბირთვულ ნივთიერებებთან დაკავშირებული სავაჭრო მოღვაწეობა.

მაგრამ ყველაზე საშინელი და აუტანელი სანქციები 2012 წელს გახდა, ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს მოხსენების პუბლიკაციის შემდეგ, საიდანაც ნათელი გახდა, რომ თეირანმა ბირთვული იარაღის შექმნაზე დაიწყო მუშაობა. აღმოჩნდა, რომ ირანელმა სპეციალისტებმა მიიღეს ინფორმაცია ბირთვული საბრძოლო მუხტის მთავარი კომპონენტების წარმოების ხერხების შესახებ, არაერთხელ ჩაატარეს კომპიუტერული სიმულაციები, ბირთვული აფეთქებების მოდელირება და შეიმუშავეს ბირთვული მუხტის აქამდე არსებულ რაკეტებზე დამაგრების ხერხები.

აშშ-მ და ევროკავშირმა ირანის წინააღმდეგ ფინანსური სანქციები შემოიღეს, რომლებიც ისლამური რესპუბლიკის საბანკო დაწესებულებებთან ყოველგვარ ურთიერთობას კრძალავდა. იზღუდებოდა ნებისმიერი სახის ვაჭრობა, რაც წამლებთან და პირველადი მოხმარების ნივთებთან არ იყო დაკავშირებული. ყველა ბანკი გათიშეს SWIFT-ის სისტემიდან, უცხოურ კომპანიებს აეკრძალათ ადგილობრივი ტრანსპორტის დაზღვევა და გადაზიდვები, ქვეყანაში ნებისმიერი სახის ელექტროსაქონლის შეტანა. ევროპულმა ქვეყნებმა ირანული ნავთობის იმპორტზე სრული ემბარგო შემოიღეს.

2015-2018 წლებში ეს ზომები ოდნავ შერბილდა, რადგან ირანის ხელისუფლებამ უარი თქვა სამხედრო სფეროში ბირთვულ იარაღზე მუშაობის გაგრძელებაზე და ქვეყნიდან გამდიდრებული ურანის დაგროვილი მარაგის ნაწილი გაიტანა. ხელისუფლებაში დონალდ ტრამპის მოსვლის შემდეგ, აშშ-ის ზეწოლით სანქციები ირანის წინააღმდეგ განახლდა.

(გაგრძელება იქნება)

ბელა გველესიანი
568 90 81 22

# შალვა ფანჩატუროვიჩ პიტოხუი და სხვა პიტოხუიები

## სად არის დაპირებული „ცხელი შემოდგომა“, გულცივო აფერისტო ჭიჭე-ვაშაძევ?!

პაპუა-გვინეაში არის ასეთი ჩიტი — პიტოხუი. შეხედავ, შეფერილობას ვერ დაუწუნებ; სახელს მოისმენ, კიდევ უკეთესი — ისეთი ჟღერადობა აქვს, რომ გეტირებოდეს, სიცილს დაიწყებ, მაგრამ რად გინდა, ისეთი შხამიანია, საკვებად კი არა, მისაკარებლადაც სახიფათოა. როგორც „ჩიტოლოგები“ ამბობენ ორინტოლოგების ნათქვამზე დაყრდნობით, ეს შხამჩიტა განსაკუთრებით მაშინ აქტიურდება, როდესაც პიტოხუიობას ჩიტოხუიობით ჩაანაცვლებს და ადამიანის სახეს იღებს. ფუფალას ამოთქმისა არ იყოს: ღმერთო ჩემო, რამდენი პიტოხუიჩიტა გვყოლია ამ პატარა საქართველოში, აკი, მათი რიცხვი, საბედნიეროდ, ძალზე მცირეაო...

გავიდა სექტემბერიცა და ოქტომბერიც, დადგა ნოემბერი. აგრილდა, მაგრამ არსად ჩანს ჯუნიორ-ვაშაძის შეპირებული „ცხელი შემოდგომა“. ალეკო ელისაშვილიც კი სახტადაა დარჩენილი: გიჟი ქალაქს მიდიოდა, რა მიჰქონდა, რა მოჰქონდაო. ან რას მოდიოდა, ან ვინ ეხვეწებოდა, რომ შემოდიოდა, ან რომ დადიოდა, რატომ არ მუშაობდა, ან რომ მიდის, რატომ მიდისო? ისე გაილექსა „თრიალეთის კოდალა“ ელისაშვილი, მთლად კარგად ვერ გაიგებს ადამიანი მის ჩივილს თუ ჯუნიორ-ვაშაძის ფანი არ არის, მაგრამ არაფრად რომ არ ჩაუგდო „ვაშაძე მლადშის“ ვაშინგტონური ვოიაჟები, ფაქტია — ეტყობა, შურიანიცაა „ჰამქარჩიკი“...



არსებული ხელისუფლების ვითომდა შესაცვლელი თუ ჩასანაცვლებელი შეპირებული რევოლუციური „ახალი ტალღის“ დაწყების სეზონი იპარება, მაგრამ ისე აქვთ ყურები ჩამოყრილი „განთქმულ ბელადებს“, ხელისუფლების ოპოზიციონერობას დააბრალებ კი არა, მაგდანას ლურჯას შეშურდებოდა, რადგან, ტალღა კი არა, ისეთი შტილია ქართულ ოპოზიციურ სათლში, ასეთი სიმშვიდე მიმწუხრის ჟამსაც კი არაა რომელიმე სასაფლაოზე.

ჰო, რა ქნან, ძალიან კი იქადნებოდნენ, მაგრამ, როგორც ჩანს, დასასვენებელი დრო არ ეყოთ, ან ზედმეტად დაისვენეს და სხვადასხვა მოდუნებული კუნთი მოძრაობაში ველარ მოჰყავთ, ჭანჭიკები აქვთ „მანი-მანით“ დასაზეთი...

ქართული ანდაზაა „ხეს უძახეს გაზმი! გაზმი!“ — და მართლა გაზმაო, იმისი არ იყოს, იმდენი იმღერა „უცნობმა“ ვილივლივოთ და ილივლივეთო, რომ დღემდე ვლივლივებთ ყველანი, ერთნი — ზღვაში, მეორენი — მთაში, დანარჩენები — უტოპიაში.

არა, მაინც რა ნირვანაში არიან ასეთში, რომ ჯერ კიდევ ვერ მოსულან გონზე?

დროში საოცრად დამთხვეულ ამ მთხლე ოპოზიციის მიძინებას და ხელისუფლების გამტკნარებას რომ ვხედავ, მინდა-არ მინდა, ეჭვები მიპყრობს და რადგან სხვა გასაქანი არ მაქვს, მათშივე ვლივლივებ — პრეზიდენტი თვალსა და ხელსშუა გაგვიორგულდა; ნაპრეზიდენტალი ჩამოდნა და გაგვიხდა, შესაბამისად, აღარც სიღნაღია სიყვარულის ქალაქი და აღარც რაბათია შედევრი, აღარც „რუსი მოდის, რუსი მოდის!“ — აბა, ასეთი წყნარი ცხოვრება საამურია?



რატომ არიან ჩაჩუმებულები, კელი დეიდას ხელის აქნევას ელოდებიან? აბდალმა ეშმაკმა იცის ამათი თავი და ტანი, მე მხოლოდ ის ვიცი, რომ ეჭვებში ვლივლივებ და სხვა თუ დაფეხმძიმებისთვის უჩივის ვინმეს, მე დაეჭვიანებისთვის უნდა ვუჩივლო შალვა ნათელაშვილს, რომელიც თავის მხრივ არანაკლებ ეჭვიანია. პრინციპში, კიდეც აქვს ეჭვიანობის საბაბი — გამოზრდის, გამოიყვანს პოლიტიკურ სარბიელზე ვინმეს და ცაპ! გადაუფრინდება ხელისუფლების საბუდარში.



აგერ, სულ ახლახან, ისე დაიშალნენ „ფანჩატურის ჩიტები“, „ელიავაზეც“ რომ არავინ ჩაიბარებდა, თაკო ჩარკვიანს კი რუსთაველზე წამოწოლა აღარ უნდა. ისევ ბატონი შალვა თუ იქნება ფხიზლად და, როგორც დიდი მიმტევებელი, უკანვე ჩაიბარებს ძლივს შექუჩებულ ფანჩატურისტებს. თვითონ დაიჩივლა, არჩევნებზე ვერ გავალთ, ამ ჩამომპალი საარჩევნო კანონმდებლობის ისევ დაგვერხევაო, მაგრამ „რაც შეეხება ფანჩატურს, როგორც უწოდებენ, თუ გავითვალისწინებთ ნობელის პრემიის ლაურეატთა დასკვნებს, ბუნებაში არაფერი იკარგება — რაც ერთ საგანს აკლდება, მეორეს ემატება. ამ შემთხვევაში ფანჩატურის ძირითადი ნაწილი შევიდა პარლამენტში, მაგრამ ფანჩატური მზად არის, უკან მიიღოს ძენი და ასულნი შეცდენილნი-ო“.



შალვაჯან, ძილში ბალიში ხომ არ ჩამოგცურებია?

ისე, რატომაც არ მოუნდება ფანჩატურისტების უკანვე მიბრუნება, ცარიელი წყლის სმას და გამხმარი „კორჟიკის“ ლოღნას, იქით „კოკა-კოლა“ დარჩებოდა ვინმეს, აქეთ — სენდვიჩის ნარჩენი და „მარლბოროს „ბიჩოკი“, ესეც ხეირია, პარტიული ოჯახი უძირო ქვევრივითაა...

არა, არ უყვართ იმ შავბნელი დროისა და ამბის გახსენება ქართული პოლიტიკის ბაბუინებს, მაგრამ პოლიტიკური ცხოვრება ისეთი საჯიჯგნ-საკირკიტო ფონია, თვით მოჰყვებიან დინებას ღლავებიც და ლიფსიტებიც, მით უმეტეს, რომ ქართულ პოლიტიკურ სპექტრს, როგორც ჩვენი აგრესორი მეზობლები ამბობენ ხოლმე, „ზადნიმ ჩისლომ“ მოგონებები და აღიარებები უყვარს.

ისე, რა უცნაურია, როცა არაფერია გასახსენებელი, ხელისგულზე უდევთ ყველაფერი, მაშინ რატომ დადუმდებიან ხოლმე ყველანი და წლების მერე რატომღა იჭყლეტენ ტვინს წარსულის გახსენებით? თუმცა, როგორც ამბობენ, „სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს...“

იმ შავბნელი დროისა და ზოგიერთი ამბის გახსენება გამოლეიბორისტებულ ბატონ შალვასაც არ უყვარს, მაგრამ მაინც ჰკითხოს ვინმემ: თუ ნოემბრის აქციებზე არგასვლაში 10 მილიონ დოლარს გთავაზობდნენ ქართველი ლეიბორისტების მამას, ჩვენ რომ გვარიგებდი, თუ „ნაცები“ საარჩევნო ხმების მიცემის ნაცვლად რამეს გთავაზობენ, ნუ დაკარგავთ, გამოართვით, მაგრამ ხმა მაინც ოპოზიციის სასარგებლოდ მიეცითო, შენ რატომ არ გამოართვიო? გამოერთმია ის 10 მილიონი დოლარი და რადგან ისედაც ვიცოდით, რომ ლეიბორისტები აქციაზე გასვლას არ აპირებდნენ, ნუ გამოვიდოდნენ, ხომ გადაურჩებოდა ბატონი შალვა იმ რაღაც ჯანდაბა მხუთავი გაზის ყლაპვას და რუსეთის სპეცსამსახურების აგენტობის ბრალდებით სამშობლოს მოღალატის იარლიყის მიკერებას? მერე რა, რომ მოსახლეობამ, მიუხედავად რაღაც კადრებისა, რატომღაც არ დაიჯერა მისი რეზიდენტობა, მაგისთანები შეშლია?

ეს მაშინდელი ამბების გახსენებას რაც შეეხება, ახლა ჩემი და ჩემებრ ეჭვიანი ადამიანების დაეჭვიანებისა ვთქვათ, — იმ დროიდან ამ დრომდე ისე გაძვირდა პირველადი მოხმარების საგნები, რასაც იმ დროს ათ მილიონ დოლარად იყიდდი, დღეს იმის ნახევარსაც ვერ შეიძენ — მაშასადამე, ვისიმე პოლიტიკური აქტივობის დაშოშმინება იმდენჯერვე გაძვირდებოდა, ხომ? ჰოდა, ეჭვებში ლივლივის დედააზრიც აქ ძევს, სააკაშვილის ხელისუფლების მიერ პოლიტიკური ლავირებისთვის გამოყოფილი, მაგრამ შალვა ნათელაშვილის მიერ წლების წინ უარყოფილი ათი მილიონი რომ გავამრავლოთ თუნდაც სამზე (ორზე გამრავლება ცოტაა, ამ ფასად არ გაიხდის ფოთის პოლიცმეისტერი!) და გავყოთ X-ზე, ხომ

12 გვ.



*გვესაუბრება „გლობალური კვლევების ცენტრის“ ხელმძღვანელი ნანა დევდარიანი:*

# ომბუდსმენი სახალხო კენჭისყრით უნდა ავირჩიოთ!

**— ქალბატონო ნანა, როგორც ყოფილი ომბუდსმენი, როგორ შეაფასებთ სახალხო დამცველის არჩევასთან დაკავშირებულ აჟიოტაჟს, ასევე, რა აზრის ხართ მსურველ კანდიდატთა რიცხოვნობაზე? რაც დღეს ამ საკითხთან მიმართებით ხდება, რამდენად ნორმის ფარგლებშია?**

— დავიწყოთ იმით, რომ სახალხო დამცველის თანამდებობისთვის 19 კანდიდატი იბრძვის, რაც უკვე ღიმილის მომგვრელია. კანდიდატები ცხრაკაციანმა საბჭომ უნდა შეარჩიოს. ანუ, ეს ხალხი პარლამენტზე მეტად ლეგიტიმური გამოდის, ხომ. კანდიდატებს შორის ისეთებიც არიან, რომელთაც საერთოდ არ იციან, რას ნიშნავს ადამიანის უფლებები. ალბათ, გარკვეული კრიტერიუმები განსასაზღვრი იყო. პარლამენტის სხდომაზე 19 კანდიდატურის გაყვანა ნიშნავს, რომ ძალიან მაღალი ალბათობით, ვერავის დაამტკიცებენ. ასეთ შემთხვევაში, მოვალეობას მოქმედი სახალხო დამცველის მოადგილე შეასრულებს.

**— რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს სახალხო დამცველი?**

— მას, ელემენტარულად, უფლებადაცვით საქმიანობაში გამოცდილება უნდა ჰქონდეს. პირი, რომელსაც ადამიანის უფლებათა დარღვევაზე ხმა არასდროს ამოუღია და ამ სფეროში არსად გამოჩენილა, სახალხო დამცველი როგორ უნდა გახდეს?! სააკაშვილის რეჟიმის დროს ადამიანის უფლებები ისე ირღვეოდა, მსგავსი ფაშისტურ გერმანიაშიც არ ყოფილა. ვგულისხმობ, პატიმრების წამება-გაუპატიურებას. კი ბატონო, გესტაპოში წამება იყო, მაგრამ კაცის გაუპატიურება თავში აზრად მათაც კი არ მოსვლიათ. თუ ამაზე ხმა არასდროს ამოგიღია, არ გაგიპროტესტებია და უცებ მოგინდა, სახალხო დამცველი გახდე, ეს ძალიან სასაცილოა. ასე რომ, ამ შემადგენლობაში რეალურ კანდიდატს ვერ ვხედავ. შესაძლოა, ყველაზე ცუდ ვარიანტში სახალხო დამცველის პოსტის დასაკავებლად პოლიტიკური გარიგება შედგეს.

**— რატომ არის ოპოზიციის პრეროგატივა სახალხო დამცველის კანდიდატურის დასახელება?**

— როცა 2000 წელს სახალხო დამცველის თანამდებობაზე წარმადგინეს, ჩემს კანდიდატურას ათეულობით არასამთავრობო ორგანიზაციამ დაუჭირა მხარი. სხვათა შორის, მაშინ ოპოზიციის წარმომადგენელი ვიყავი, თუმცა, ამას ხელი არ შეუშლია, პარლამენტში კონსენსუსის გზით დავმტკიცებულიყავი. არცერთი პოლიტიკური ძალის მიმართ არც ანგარიშვალდებული ვყოფილვარ, არც მათ დაკვეთებზე მიმუშავია ოდესმე. აბსოლუტურად მიუკერძოებელი ვიყავი. ეს იცოდა ყველამ — მმართველმა პარტიამაც და ოპოზიციამაც.

სახალხო დამცველის უფლება-მოვალეობები სწორად უნდა გავიაზროთ. ეს თანამდებობა ხალხის დამცველს არ ნიშნავს. იგი იცავს ცალკეული პირის უფლებას, თუკი ის დაირღვა. ანუ, ომბუდსმენი ხალხის, ერის, სახელმწიფოს ინტერესების დამცველი არ გახლავთ. ის არის ერთი კონკრეტული ადამიანის დამცველი მაშინ, როცა ამ უკანასკნელის უფლებები ირღვევა. როგორც წესი, უფლებებს სახელმწიფოს წარმომადგენელი არღვევს. მე და შენ ეს უფლებამოსილება არ გაგვაჩნია. ჩვენ შეიძლება კრიმინალი ჩავიდინოთ, მაგრამ ადამიანის უფლებას ვერ დავარღვევთ. როცა სახელმწიფო ადამიანის უფლებებს არღვევს, ინტერესების სადარაჯოზე სახალხო დამცველი უნდა იდგეს.



**— ბოლო წლებში სახალხო დამცველის მიკერძოებული ფორმატი ჩამოყალიბდა. მაგალითად, ლომჯარია არც მალავდა, რომ მიშას უფლებების პირადი დამცველი იყო.**

— სააკაშვილიც ისეთივე ადამიანია, როგორც ყველა დანარჩენი. მე პრეტენზია მაქვს იმაზე, რომ ათეულობით ათასი პატიმრის უფლებების დაცვაზე ლომჯარიას ხმა არ ამოუღია. რა გამოდის, მაინცდამაინც მესამე, მეოთხე და მეხუთე პრეზიდენტი უნდა იყო, რომ ომბუდსმენმა შენი უფლებები დაიცვას?! ეს წარმოუდგენელია. სახალხო დამცველი რომ გავხდი, ჩემთვის პრივილეგირებული პატიმარი არ არსებობდა. ეს თვისება, სხვათა შორის, არასამთავრობო ორგანიზაციებს ახასიათებთ იმიტომ, რომ მათ ხომ კანონი არ ავალდებულებს ყველა დაიცვან. ამიტომ ვინც სურთ, მხოლოდ იმას იცავენ. სახალხო დამცველს მსგავსი ქმედების უფლება არ აქვს. მან, წესით, საქართველოს ტერიტორიაზე მარტო მოქალაქე კი არა, არამოქალაქე პირის უფლებებიც უნდა დაიცვას.

**— ჩვენთან, რატომღაც, ისეთი ტენდენციაა, თითქოს მხოლოდ ლგბტ თემის უფლებები ირღვევა.**

— ეს ყველაფერი უკვე მარაზმს ემსგავსება. კი ბატონო, თუ ვინმემ ლგბტ თემის წარმომადგენლი სცემა და სახელმწიფომ ამაზე თვალები დახუჭა, მისი უფლებები სახალხო დამცველმა უნდა დაიცვას. მაგრამ სახალხო დამცველი ლგბტ თემის გარდა სხვა დარღვევებს რომ ვერ ხედავს, ეს ტრაგედიაა. განა შეიძლება, სახალხო დამცველმა განგაშის ზარები არ დაარისხოს იმაზე, თუ რამდენი ადამიანი დაიღუპა შრომის უსაფრთხოების წესების დარღვევის გამო?! ბიზნესმენი ფულს აკეთებს და სულაც არ ედარდება, მშენებლობაზე ადამიანი უსაფრთხოდ მუშაობს თუ არა.

**— როგორ ფიქრობთ, რატომ დეგრადირდა ასე ეს ინსტიტუტი?**

— ეს არა ქართული, არამედ გლობალური მოვლენაა. იმიტომ, რომ ლგბტ თემით აჟიტირებულია მთელი მსოფლიო და, ძირითადად, ყურადღებას ამ საკითხზე ამახვილებენ. მაგალითად, აშშ-ში 50 მილიონი ადამიანი, სურსათის ტალონებით საზრდოობს. 50 მილიონი ადამიანის უფლებების დაცვას ხომ სჯობს ერთი ლგბტ თემის წარმომადგენლის უფლებების გაბუქება?! აშშ-ში ამაზე მსჯელობენ და არა იმაზე, რომ იქ მილიონობით ადამიანი შიმშილის პირასაა. ასე ხდება გლობალურად, მთელ მსოფლიოში. დიახ, ლგბტ თემს აქვს პრობლემები — საკუთარი თვალით გვინახავს, როგორ უსწორდებიან მათ ორიენტაციის გამო. სხვა საკითხია ის, რომ მე, მაგალითად, გეი-პარადების მოწყობის კატეგორიული წინააღმდეგი ვარ. რაც მთავარია, ბავშვების უფლებებიც დაცული უნდა იყოს. დიახ, ჩემთვის, მაგალითად, ნინოწმინდის პანსიონატის ამბავი ერთგვარი მარკერია. თურმე, ნინოწმინდის პანსიონატში ბავშვების უფლებები ირღვეოდა. სახალხო დამცველის ანგარიშში ასევე, საუბარია აჭარის ბავშვთა პანსიონატზე, რომელიც მუსულმანურია და სადაც თვალშისაცემი დარღვევები იყო. ნინოწმინდის პანსიონატში მხოლოდ დოკუმენტაცია არ იყო მოწესრიგებული, აჭარის პანსიონატში კი საშინელი ანტისანიტარია იყო, რასაც თავად სახალხო დამცველის ანგარიშიდან ვიგებთ. იქ მთელ პანსიონატს ერთადერთ დანჯღრეული კომპიუტერი ჰქონდა, ისიც დირექტორს. არ იყო ინტერნეტი და ბავშვებს ვადაგასული პროდუქტებით კვებავდნენ. მაგრამ რატომღაც, მაინცდამაინც, მართლმადიდებლურ პანსიონატს მიადგნენ. აჭარის პანსიონატზე კი გართულება არ ჰქონიათ. გეკითხებით, ეს მიკერძოებული მიდგომა არ არის?!

**— ამ ყველაფრის ფონზე, გვჭირდება თუ არა ასეთი სახალხო დამცველის ინსტიტუტი?**

— ვფიქრობ, სჯობს, ამ პოსტზე პირდაპირი სახალხო კენჭისყრა ჩატარდეს იმიტომ, რომ სახალხო დამცველი ყველა მოქალაქის უფლებების დამცველი უნდა იყოს. ასეთი არჩევის წესი მის ანგარიშვალდებულებას გაზრდის ხალხის და არა პარლამენტის წინაშე, რომელიც მას ამტკიცებს. ჩემს მიერ ნახსენები არჩევის წესით ამ ინსტიტუტის მიმართ მოქალაქეებსაც მეტი ნდობა ექნებათ.

**— გენერალური პროკურორის არჩევაც 90 ხმით პარლამენტის მიერ ხდება. სპეციალისტები ფიქრობენ, რომ ასე სამართალდაცვის ვერტიკალი შესუსტდება, რაც კრიმინალის ზრდას გამოიწვევს.**



12 გვ. →

# გაიტანეთ სახალხო დამცველის პოსტი საქართველოს სივრციდან!

ამას რას ვუყურებთ და ვუსმენთ!

ჩვენ რომ ომბუდსმენობის კანდიდატების გამოსვლებს ვუმზირეთ, სრულ ჭკუაზე აღარ ვართ, მგონი — ომბუდსმენობაზე წარმოდგენილ კანდიდატებს „ფსიხო“ არ მოეთხოვებათ? ის არ გვყოფნის, რომ ჟამიდან ჟამამდე ჭკუიდან გვშლის წლების განმავლობაში ოკენის გაღმიდან დასმული ვიღაც ომბუდსმენი თავისი მოადგილე-დამქაშებით და ახლა ეს სრულიად უმეცარი ნაკრები დაგვისვეს წინ ვითომ ასარჩევად. როდემდე მოაწყობენ ამ ფარსს, როდემდე უნდა გვათამაშონ დემოკრატიობანა და დამოუკიდებლობანა? ამდენი ენაგატლეკილი სიცარიელე საიდან გამოფრთხიალდა, ასე ერთდროულად რომელ საქათმეში თუ ბუდეში იბარტყეს?

— დღევანდელი პარლამენტი ლეგიტიმურია თუ არა თქვენი აზრით? — კითხვა დაუსვა ანა აბაშიძეს პარლამენტარმა.

— ლეგიტიმური რისთვის? — კითხვა დაუბრუნა აბაშიძემ.

— რომ აირჩია ხალხმა...

— რომ ამირჩია ხალხმა, არის თუ არა ლეგიტიმური? — რა თქმა უნდა.

— დღევანდელი მე-10 მოწვევის პარლამენტი არის თუ არა ლეგიტიმური, — გაუმეორა პარლამენტარმა.

— ანუ, მეკითხებით, არჩევნებზე რას ვფიქრობ? რაც ჩატარდა?

— გმადლობთ. გაურბიხართ კითხვას და ეს არის ძალიან ცუდი, იმიტომ, რომ თქვენ გინდათ ლეგიტიმაცია პარლამენტისგან და გაურბიხართ კითხვას, ლეგიტიმურია თუ არა ის პარლამენტი, რომელმაც უნდა აგირჩიოთ.

— ეს პოლიტიკოსები სუ ასე კამათობთ ამ სივრცეში? ღმერთო, რა რთულია. ნახეთ, ბატონო ჩემო, არაფერს არ გავურბივარ, მზად ვარ კიდეც, რო თქვენ ცალკე გელაპარაკოთ. პასუხიც არის, ნახეთ, ვაზუსტებ, რას მეკითხებით. ხალხი გვიყურებს, ხომ უნდა გაიგოს, რას მეკითხებით და რას გპასუხობთ, ანუ არჩევნები არის თუ თუ არა ლეგიტიმური, მაგას მეკითხებით რომლითაც არჩეული ხართ?

— არჩევნების შედეგად 20/20 რომ დღეს არის შემდგარი მე-10 მოწვევის პარლამენტი (მე მგონი ძალიან კარგად გაიგო საზოგადოებამ), არის თუ არა თქვენი აზრით ლეგიტიმური.

— ხო, უადგილო შეკითხვაა, მაგრამ მარტივად რომ გითხრათ, აქ იმიტომ ვარ რომ ლეგიტიმურ და კანონიერ პროცესში ვმონაწილეობ და არალეგიტიმურ პროცესში არ შევალ. მიიღეთ პასუხი?

— ანუ ლეგიტიმურია.

— ანუ — არ ვიცი, თქვენ უნდა გადაწყვიტოთ. გავართულე, ბოდიში.

— მეც მასე გამიჭირდება თქვენი მხარდაჭერა მაშინ, როგორც თქვენ გიჭირთ თქმა, მე ლეგიტიმურად ვზივარ თუ არა აქ.

ეს მცირე ამონარიდი საკმარისია წარმოდგენის შესაქმნელად, რა კატეგორიისა და გაქანების კანდიდატები არიან წარმოდგენილები ომბუდსმენის პოსტზე და მათგან უპირატესად ეს ქალბატონი რომ არის მიჩნეული. ნეტავ, რატომ, გიგა ბოკერია მუშაობს კარგად? ბოლოს გამოვა, ამბობს ანა აბაშიძე და ვუსმენთ გიგა ბოკერიას; ან ვუმზერთ ანა აბაშიძეს და ვხედავთ გიგა ბოკერიას... შეიძლებოდა გვეთქვა პირდაპირ „ტაბულა ბიცოლა“, მაგრამ ქალბატონი თამარი მხიარული პერსონაა, სულაც არ აინტერესებს ამგვარი ორომტრიალი. ისეთს დაახეთქებს ხოლმე, ერთი თვე ვიცინი მისი ნათქვამის გახსენებაზე.

ანა აბაშიძემ „ღმერთს“ რომ მიმართა, ყურებს არ დავუჯერე. კვლავ მოვუსმინე ამ მონაკვეთს — ნამდვილად „ღმერთი“ ახსენა. საინტერესოა, რომელ ღმერთს მიმართა... ეს პატივცემული კანდიდატი ხომ სწორედ ღმერთთან ბრძოლით გავიცანით... ხომ არ მეშლება, განა ეს ქალბატონი არ იყო ბავშვთა სახლებთან დაკავშირებული ბუნტისთავი? ჩვენი დედა-ეკლესიის, ჩვენი სასულიერო პირებისა და უწმიდესის ლანძღვითა და შეურაცხყოფით გამორჩეული?

სწორედ აქედან გამომდინარე, ალბათ, არც უნდა იყოს გასაკვირი მისი უპირატესობა ომბუდსმენობის მაძიებელ სხვა კანდიდატებთან შედარებით. გაღმა-გამოღმიდან შეკვეთილი ომბუდსმენი ხომ კონკრეტული დაკვეთების შემსრულებელი უნდა იყოს: ღიად და გამეტებით ლანძღოს ყველაფერი, რაც მართლმადიდებლობასთან არის დაკავშირებული, აქოს სექსუალური უმცირესობები და ეთაყვანოს ენმ-ის სადისტურ სისტემას. მახსოვს, მაშინ მეუფე სპირიდონმა მიმართა იმდროინდელ და ჯერ კიდევ ომბუდსმენს ნინო ლომჯარიას: კაცი ხარ თუ ქალი, ის ვერ გაგიგია და შენ ვინ უნდა შეამოწმოვო? სავარაუდოდ, იგივე ფრაზა კვლავ მოსალოდნელია ანა აბაშიძის (არა მხოლოდ მისი) ომბუდსმენად არჩევის შემთხვევაშიც, რადგან აბაშიძე ნამახვანჰესის დამცველებსაც სწორედ სექსუალური უმცირესობების ე.წ. პრაიდთან დაკავშირებით გაუნაწყენდა.

ე.წ. დასავლეთის სასურველი ომბუდსმენობის მაძიებელი კანდიდატები ისე არიან ნამეცადინები და გამოწვრთნილები, სიტყვების სატრიალებლად ჯიბეში ხელის ჩაყოფა არ სჭირდებათ, ისეთი სხაპასხუპით ჩამოარაკრაკებენ ხოლმე გალექსილ ფრაზებს, მსმენელს შავი ზღვა თეთრად მოეჩვენება, გაოცებული სიმღერასღა შემოსძახებს: თეთრი ტყე, შავი ტყე, ვერაფერი ვერ შავიტყე... ისე აისხლეტენ კითხვასაც და პასუხსაც, ბატის ბუმბული და წყლის წვეთი შურით გასკდებიან...

როდესაც პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა საკუთარ დაბულინგებაზე სიტყვა დაასველა, მაშინ ჯერ კიდევ სახელმწიფოებრივად აზროვნებდა და ეცა კიდეც აბაშიძე, კულტურულად გააფარჩაკა, თუმცა ქვეტექსტი ასე იკითხებოდა: შე ცუდო, ბულინგის კი არა, მეტის ღირსი ხარ, მაგრამ ახლა მოგხედავ, როგორც საჭიროაო და ჩამოურაკრაკა, რა განმარტება აქვს ოქსფორდის ინგლისური ენის ლექსიკონში ტერმინ „ბულინგს“ და ბეჭედდასმული დასკვნა დადო — პრეზიდენტი მოქალაქისგან ბულინგის მსხვერპლი ვერ გახდება, რადგან მასზე აღმატებული უფლებები აქვსო. კი წერია განმარტება ლექსიკონში, რომ „ბულინგი“ მეტად ძლიერი ან ძლევამოსილი ადამიანის მიერ დაუცველის შეურაცხყოფა ან ცუდად მოპყრობაა, მაგრამ სულ ეს არის? ყველაფერს რომ ბულინგი ვეძახოთ, არ არის სწორიო; პრეზიდენტს შეუძლია აქეთ დაგვაბულინგოსო; პრეზიდენტი გვეუბნება, რომ თვითონ არის დასაცავი და ამით პირდაპირ ამბობს, თუ რამე გაგიჭირდათ, ჩემთან არ მოხვიდეთ, აქეთ ვარ დასახმარებელიო; პრეზიდენტს შეუძლია, მოქალაქეები მხოლოდ აქეთ დაგვაბულინგოს, თუმცა, მოქალაქესაც გააჩნიაო. — აი, ასეთი გამოწვრთნილები არიან სიტყვათა თამაშებში. გალექსილი დემაგოგია პატივცემული ანა აბაშიძე, მაგრამ სწორედ ახლახან, გახმაურებულ-გაწელილი ე.წ. ოჯახური დავის პროცესი რომ წააგო, ერთი ქალი ვერ დაიცვა ღირსეულად, ისეთები ალაპარაკა, ქვეყნას მის მიმართ უარყოფითი განწყობა გაუჩინა, ამან ხალხი როგორ უნდა დაიცვას?

ქალი უზრდელია, გაუზრდელი თუ ორივე ერთად, მისივე სიტყვებიდან უნდა გამოიტანოთ დასკვნა: ირაკლი ღარიბაშვილის მხარდამჭერები, „ქართული ოცნება“ ბიოდეგრადირებადი ნაგავი ხართ! არა, პოლიეთილენის უფრო, ალბათ, თქვენგან ნეშომპალაც კი არ გამოვა!“ — „ქართული ოცნება“ კი თვლემს. იმ „ძალიან მეგობრებმა“ დაგვინიშნეს უკვე ომბუდსმენად ეს ჩვენის მიუღებელი და არ ვიცით?

ანა აბაშიძეს სახალხო დამცველის კანდიდატების შეფასების სამუშაო ჯგუფის მიერ შეფასებული ქულების მიხედვით, ფაქტობრივად, ფეხდაფეხ მიჰყვებოდა ნაზი ჯანეზაშვილი — ის რა ფსკერიდან გაცვეთილიცაა, წლებია ვიცით და ჰოი, საოცრებავ, ჯანეზაშვილმა უარი თქვა წარმდგარიყო პარლამენტის წინაშე.

ის „პირუთვნელი“ საომბუდსმენე ვინღა იყო, 2003-2012 წლებში მიხეილ სააკაშვილი „ნაცმოძრაობის“ რეჟიმის მსხვერპლად რომ გამოაცხადა...

ისიც კარგი იყო, სანამ თირკმელს ამოგაჭრიან, თქვენ არ გეკუთვნით, ამოჭრის შემდეგ თქვენ გეკუთვნითო — აი დიდებული საომბუდსმენო კაცი...

ომბუდსმენობის ამ 19 კანდიდატის გაცნობის შემდეგ ნამდვილად გაგიმყარდება ადამიანს აზრი, რომ ახალი ომბუდსმენი ისეთივე აბსოლუტურად უმაქნისი იქნება, როგორიც მისი წინამორბედები იყვნენ, იშვიათი გამონაკლისების გარდა.

„იმისათვის, რომ პუნქტი სახალხო დამცველის შესახებ ჩვენმა ევროპელმა მეგობრებმა შესრულებულად ჩაგვითვალონ, საჭიროა, რომ კანდიდატი, რომელსაც ჩვენ ავირჩევთ, კარგად ერკვეოდეს ადამიანის უფლებებსა და იმ სისტემურ პრობლემებში, რომელიც ქართულ მართლმსაჯულებაში არსებობს. ასევე, საჭიროა მასთან დაკავშირებით ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის კონსესუსი შედგეს. ჩემი აზრით, იმ ჩამოთვლილი 19 კანდიდატიდან ამ კრიტერიუმს მხოლოდ იაგო ხვიჩია აკმაყოფილებს“, — გამოგვიცხადა ჰერმან საბომ.

ერთი თვალის შევლებით სადღაც მართალს ამბობს ეს პატივცემული, იაგო ხვიჩია ქვებს მაინც არ ისვრის თვალებიდან, მაგრამ ისეთებს ისვრის პირიდან, აშშ-ის ელჩი, ღორის ქონივით დადნა — იაგო ხვიჩიასთვის პატრიარქი რომ ამერიკის ელჩია, მაგას რა ვუშველოთ? რა მაგარი ვინმეა ეს ჰერმან ჰესე — იშტვან საბოც!

მოკლედ რომ ვთქვათ, რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს ომბუდსმენობის კანდიდატი, სრულად არავინ აყალიბებს, მაგრამ ამ კანდიდატურების ფონზე რომ სახალხო დამცველის არჩევა გამოუსწორებელი ამბავია, მალე ვნახავთ. და ასე იქნება ყოველთვის, ვიდრე სახალხო დამცველს ხალხი არ აირჩევს.

საერთოდ, რა საჭიროა ეს ე.წ. სახალხო დამცველი. როცა სახალხო დამცველი კი არა, ერთი უსაქმურის პოსტია. ისეთი გრძელცხვირასი, სადაც არაფერი ესაქმება, არ ეკითხება და ცხვირს ჰყოფს?

სწორედაც რომ ასეა! ყველა სახალხო დამცველისებრს ჰგონია, რომ აუცილებლად უნდა ჩაერიონ მათთვის საინტერესო სასამართლო დავებში და სასამართლოს ფუნქციები უნდა აიღონ საკუთარ თავზე. ცხადზე უცხადესია, რომ საქართველოში ახალდროების სახალხო დამცველებს მთელი სიგრძე-სიგანით აქვთ არეული თავიანთი ნიშა „ენჯეოშნიკის“ ნიშაში.

აამყრალა ქვეყანა უცხო ქვეყნის ამ დაქირავებულმა დესანტმა!

კაცმა რომ თქვას, მათი ეს განწყობა სულაც არ არის გასაკვირი, ისინი ხომ ჩვეულებრივი ძღვენიჭამიობიდან მოდიან და რაც მეტ ძღვენს შეჭამენ და ამყრალდებიან, უფრო კარგად იგრძნობენ თავს...

საექსპერიმენტო ქვეყანა რომ ვართ, დიდი ხანია ვიცით, მაგრამ რაც არ ვიცით, გვაინტერესებს და რადგან არავინ გვპასუხობს, კატეგორიულად ვიკითხოთ: რა კრიტერიუმებს უნდა ამაყოფილებდეს სახალხო დამცველი, გარდა იმისა, რომ: 1. ცოცხალი უნდა იყოს; 2. პათოლოგიური ამბიციები უნდა ჰქონდეს; 3. ქალი „ნაცი“ უნდა იყოს და თან უზრდელი; 4. თუ ქალია, კაცებს ვერ უნდა იტანდეს, თუ კაცი იქნება, ქალებს ვერ უნდა იტანდეს; 5. ფსიქოპათი უნდა იყოს; 6. საკუთარი თავი ხალხის დამრიგებლად უნდა მიაჩნდეს; 7. ყოველმხრივ ქართველთმოძულე და ყველაფერი ქართულის მოძულე უნდა იყოს; 8. სქესის ცნება ამოვარდნილი უნდა ჰქონდეს შემეცნებიდან; 9. მართლმადიდებლობა უნდა სძულდეს მისი ყველა გამოხატულებით; 10. ოჯახი ქალის დამამცირებელ სივრცედ უნდა მიაჩნდეს...

გაიტანეთ სახალხო დამცველის პოსტი საქართველოს სივრციდან!

მაკა ჯაყელი



# შალვა ფანჩატუროვიჩ პიტოხუი და სხვა პიტოხუიები

9 გვ.

არ უდრის საპროტესტო მუხტის ძილქუშს?

რატომაც არა?

10მლნ . 3 : X = ძილქუში! — ისეთი ფორმულაა, აინშტაინიც ვერ დაიწუნებს. ძილქუშია, გარდაცვალება ხომ არა, გამოილევა 30 ვერცხლი, ამასობაში 2024 წელიც მოვა და გაიღვიძებს ბარე ორი...

პიტოხუიების ფანჩატურში შეკრებამ არ გაამართლა და ახლა




უკანა ეზოში სცადონ, ეგებ, ეშველოთ... ნამდვილად ეზოს ვგულისხმობ, შარი არ მომდონ, „რა უკანა“, ეს რას გვენართაულებაო... ისე კი, კუალა-ლუმპურში შეკრება სჯობდა... იმ ანეკდოტისა არ იყოს, ფანჩატუროვიჩი ტატუს მოხატვის ოსტატთან რომ მივიდეს და ჰკითხოს, მეტკინებაო? იმან რომ უპასუხოს, უბანს გააჩნიაო, ეს რას უპასუხებს, რა უბნელი ვარო, დუშელი თუ დუშეთელიო?

რამდენი ჩემნაირი ქირქილებს, ალბათ, ფანჩატური და შვანცკის გორა კი არა, იმაზე იჭყლეტეთ ტვინი, ზეთი და წყალი როგორ შეურიოთ ერთმანეთსო, ანუ არც რომ მწვადი დაიწვას და არც შამფურიო...

უფულო ხალხის, ანუ საქართველოს ძირითადი მოსახლეობის შესაფერის ზაფხულში, გრილში და არა ხვატში, ისე გაილალნენ არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ მოსახლეობაში პროპაგანდა-აგიტაციის ჩატარების მოტივით თბილისს გარეთ მრისხანე ოპოზიციონერები ოჯახებითურთ, რომელიმეს მოტაცება რომ მოენდომებინა, გაცოცხლებული ოტო სკორცენი ვერ მიაგნებდა ვერცერთს — პოლიტიკურად მკვდარი სეზონი იდგა. გადის შემოდგომა და ისევ მკვდარი სეზონია.

ასე იცის სეზონურმა რევოლუციებმა!

მხოლოდ სეზონზე თუ არის დამოკიდებული საქართველოს ბედი, რომელიც რატომღაც ყოველთვის რევოლუციაზე გადის, სახეზე არ იყო გასული წლის ნოემბერი, იანვარი, აპრილი და მაისი ასიათას ერთი რევოლუციურად აღსატკინებელი ასიათას ორი კაცით? — ყველა პოლიტიკური სუბიექტი ისეთი უსახური, უშინაარსო და გულისრუჯვის მომგვრელი ზღაპარივითაა, ყველაზე დიდ იდიოტსაც რომ არ დაესიზმრება ღამეული კოშმარებისას...

ამ დროისთვის ერთი-ორი თავგზააბნეული „ოპოზიციონერი“ დაკინკილობს, რომლებიც „ტრიოდ“ მოგვევლინენ პოლიტიკურ ველზე და ისინიც უსაგნოდ, საიდან და რა შეუბერონ, ველარ გაუგიათ. იმ პარლამენტიდან აპირებენ წასვლას, სადაც არც აქამდე მისულან, მაგრამ პირველებმა კი დაარღვიეს ე.წ. ოპოზიციური ერთობა და კისრისტეხით შეცვივდნენ პარლამენტში, ჩვენ კონსტრუქციული ოპოზიცია ვართ, ამიტომ დროზე მოგვაწერინეთ ხელი შარლ მიშელის დოკუმენტზეო. ასეთი „ტრიო“ მაინც რამ მოაფიქრებინათ, სადაც სამში ერთი რუსულად განათლებული აგრესული შტვენია ქალია...

ჩამკვდარია პოლიტიკური ვნებათაღელვა, მაგრამ რა ჯანდაბამ ჩაკლა, გაცოცხლდნენ მაინც ერთმანეთში მებრძოლი უპირო ლოკოკინები, აგრილდა და დაგვაცხუნონ თავისებურად. დამდგარან და იმას არკვევენ, ამ ერთმანეთზე აკიდებული მკვდრებიდან რომელი მკვდარი უფრო მოსწონს ე.წ. დასავლეთს.

პიტოხუი და დიდი ჯანდაბა თქვენ!

მოკლედ, ამ ლივლივ-ლივლივში ერთი უცნაურობაც გამოიკვეთა: საქართველოს რეალობაში კაცები გადედლდნენ, ქალები გამამლდნენ და თუ ჟამთაალმწერელი ოდესმე ამ ჩვენს დღევანდელ პოლიტიკურ ყოფას პირუთვნელად აღწერს, ქართველ ბავშვებს კი კვლავ ექნებათ სკოლებში სიარულის დრო და წერა-კითხვაც ეცოდინებათ, თემად „ქალთა სახეები ვეფხისტყაოსანში“ კი არ ექნებათ დასაწერი, არამედ „ვისი ვიოლინო ვის როიალში იყო და რატომ“...

**ზურაბ ოძხერელი**

# ომბუდსმენი სახალხო კენჭისყრით უნდა ავირჩიოთ!

10 გვ.

— დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან დღემდე გენერალურ პროკურორს პარლამენტი ამტკიცებს. სხვა საკითხია ის, რომ 2020 წლის არჩევნებით მოსული პარლამენტის მიმართ ნდობა ძალიან დაბალია. ევროკავშირი დეპოლარიზაციისკენ მოგვიწოდებს. სხვათა შორის, პოლარიზაციაში ლომის წილი წინა ხელისუფლების წარმომადგენლებს აქვთ, რომლებიც ახლა ოპოზიციის სახით არიან პარლამენტში წარმოდგენილნი. მართველი გუნდის სასარგებლოდ შემდეგი უნდა ვთქვა: განა შეიძლება, ნაცები „ქართულ ოცნებას“ გაუთავებლად დათმობაზე წასვლას სთხოვდნენ მაშინ, როცა ხელისუფლებაში მათი ყოფნის დროს, 9 წლის განმავლობაში არავის მიმართ დათმობა და ნდობა არ ჰქონიათ. ამიტომ, ობიექტურობა რომ არ დავკარგო, პასუხისმგებლობის გაცილებით დიდ ტვირთს „ნაცმოძრაობას“ ვაკისრებ.

**— პოლარიზაცია ხომ ამერიკაშიც არის. ჩვენ რატომ გვიყენებენ კანდიდატის სტატუსის მიღების აუცილებელ პირობად დეპოლარიზაციას?**

— აღარ დამთავრდა ევროკავშირში, ნატოში მიღებაზე გაუთავებელი საუბარი — ხან ოქროს ბილეთი გამოგვიწერეს, ხან ასპირანტის სტატუსი, ხან მაპზე უკეთესი და ა.შ. ამჟერად ჩვენ უკვე ასოცირების ხელშეკრულებაზე გვაქვს ხელი მოწერილი და რატომ არის კანდიდატის სტატუსი უფრო მეტი, ვიდრე ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერის სტატუსი, ამას ვერავინ ხსნის. ევროკავშირში ჩვენს მიღებასთან დაკავშირებით კონსენსუსი არ არსებობს. ამიტომ, 12-პუნქტიანი დავალება მოიფიქრეს. სინამდვილეში, დეპოლარიზაცია, სამართლიანი სასამართლო და ა.შ. ევროკავშირისთვის კი არა, ჩვენთვის გვჭირდება.

**— როგორ ფიქრობთ, 12-პუნქტიანი დავალება პირნათლად რომ შევასრულოთ, ევროკავშირში მიგვიღებენ?**

— არა, რა თქმა უნდა. თავად ევროკავშირშიც ალაპარაკდნენ უკვე, რომ კონსენსუსის წესი არ ამართლებს და თქვეს: მოდით, უბრალოდ, გადაწყვეტილებები უმრავლესობით მივიღოთო. თვითონ შიგნიდან არის სიტუაცია არეული. ჩვენ მართლა გვგონია, რომ მთელი ევროპა ზის და დღე და ღამე იმაზე ფიქრობს: მიიღოს თუ არა საქართველო, უკრაინა და მოლდოვა ევროკავშირში?! ევროპას წინ ძალიან მძიმე ზამთარი ელის. ევროკავშირის საზღვართან მიდის ომი, სისხლისღვრა, ნგრევა და უბედურება. ამიტომ,მოიფიქრეს ეს ფორმულა და 12-პუნქტიანი დავალება მოგვცეს. მერე ან ვირი მოკვდება, ან ვირის პატრონი.

**— ღარიბაშვილმა უნგრეთში ვიზიტისას აღნიშნა, რომ საქართველოს ნატოში გაწევრიანება სურს. ეს რით იყო განპირობებული?**

— ღარიბაშვილი ამ თემას მუდმივად აჟღერებს, მათ შორის, გაეროს გენერალურ ასამბლეაზეც. თუმცა, ოპოზიცია მაინც გაიძახის: მთავრობამ ევროპულ ხაზს გადაუხვია, რუსეთისკენ მიგვაქანებსო და ა.შ. ეს ხალხი მავნებლები არიან. ხომ არსებობს ბაღის, ბოსტნის მავნებლები, ნაცები პოლიტიკური მავნებლები არიან. მათ თუ ვუსმინეთ, ქვეყანა შეიძლება თავზე ჩამოგვექცეს. ახლა უკრაინაში ომია და მეტი სიფრთხილეა საჭირო, ისეთივე, როგორი გონივრული პოზიციაც დაიკავა ღარიბაშვილმა და მისმა კაბინეტმა სანქციების და მეორე ფრონტის არგახსნასთან დაკავშირებით.

**— რას ფიქრობთ ივანიშვილის ოჯახის წევრების მიმართ სანქციების დაწესებაზე?**

— მოდით, ყველაფერს თავის სახელი დავარქვათ. ოლიგარქიული მმართველობა პირდაპირი გაგებით არის აშშ-ში. მთელი ამერიკული პოლიტელიტა სხვადასხვა დიდი კორპორაციების — ფარმაცევტული, ნავთობპროდუქტების, შეიარაღების თუ სხვა მსხვილი აქციების მფლობელია. უკრაინამ ივანიშვილის ოჯახის წევრების დასანქცირებას, სჯობს საკუთარ თავს მიხედოს. უკრაინის ხელისუფლებამ ქვეყანა უკვე დააქცია, დაშლის პირას მიიყვანა, ამ დროს კი ხელს სხვისკენ იშვერს. მათ რომ უსმინო, რვა თვეა, ისეთ ინფორმაციებს ავრცელებენ, დღეს, წესით, კრემლში უნდა ისხდნენ. სინამდვილეში, უკრაინა დაინგრა და გაუბედურდა.



**— ამბობენ: გვარამიას ციხეში დატოვებით მედიათავისუფლების ინდექსი დაირღვაო. ასეა?**

— აბა, რა. სრულიად მსოფლიო მედია დაიღუპა გვარამიას პატიმრობაში ყოფნით. გვარამია ჯერ გენპროკურორის მოადგილე იყო, მერე იუსტიციის მინისტრი, მერე განათლების მინისტრი და ბოლოს, ეს პოსტი რომ დატოვა, აშშ-ში განათლების მისაღებად გაემგზავრა. გვარამიას მედიამოღვაწეობა და ჟურნალისტობაც ეს არის — ციხიდან რომ გამოვა, მერე შეიძლება სადმე უცხოეთში მედიამენეჯერის კურსები გაიაროს.

**— ოპოზიციაში რთული პროცესები მიდის — აქეთ მელია და კვესიტაძე დაეტაკნენ ერთმანეთს, იქეთ — მამულაშვილი გაიქცა, აქეთ — ვაშაძემ, ხოშტარიამ და ჯაფარიძემ ტანდემი შექმნეს. თქვენი აზრით, რა ხდება?**

— ამ ჩამოთვლილთაგან რომელიმე არის იმ წონის პოლიტიკური ფიგურა, რომ თავისი პოლიტიკაში ყოფნით, ბოიკოტით რამე შეცვალოს? მათი მთავარი მიზანი საკუთარი თავის გადარჩენა და ახალი პოლიტიკური ცენტრის შექმნის მცდელობაა. პარლამენტში ყოფნის ორი წლის თავზე, უცებ პარლამენტის ბოიკოტირებას რომ მოინდომებ, ეს საკუთარი თავის ანეკდოტურ სიტუაციაში ჩაყენებაა.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# დონალდ ტრამპი: ამერიკა ვეღარ გაუძლებს ისეთ პრეზიდენტს, როგორიც ჯო ბაიდენია

ფართომასშტაბიანი, იგივე მესამე მსოფლიო ომის დაწყების საფრთხე სამყაროში ყოველდღიურად იზრდება. ამჯერად გამალებულ მასობრივ შეიარაღებაზე საუბარი ზედმეტია, რადგან ეკონომიკური გაჭირვებისა და გაზრდილი ინფლაციის მიზეზით, წამყვანი ქვეყნების უმრავლესობას არ აქვს საშუალება, გაზარდონ სამხედრო სამრეწველო კომპლექსის მშენებლობა. სამხედრო ტექნიკას მასობრივად მხოლოდ ამერიკის შეერთებულ შტატებში, ჩინეთში, რუსეთში, ჩრდილოეთ კორეასა და ირანში აწაროებენ. ახალი ტექნოლოგიები დღეს მხოლოდ ჩინეთში, რუსეთსა და ჩრდილოეთ კორეაში ინერგება. თუმცა უკვე არსებულიც საკმარისია მსოფლიოსთვის კატასტროფული შედეგის მოსატანად.

მოსალოდნელ საფრთხეზე საუბრის საბაბს დიდი, წამყვანი ქვეყნები გვაძლევენ. ორი კვირის წინათ აშშ-ის ერთ-ერთი უდიდესი ატომური ავიამზიდი „ჯორჯ ბუში“ ევროპის წყლებში შევიდა და ღუზა ბრიტანეთის სანაპიროსთან ჩაუშვა. აშშ-ის პრესა იუწყება, რომ პენტაგონმა ხმელთაშუა ზღვაში გასულ კვირას გააგზავნა ატომური წყალქვეშა ნავი, რომელზეც 24 ატომური რაკეტაა განთავსებული. წყალქვეშა ნავს მსოფლიოს სამხედროები „ბირთვული აპოკალიფსის მხედარსაც“ უწოდებენ, რაც ნათლად მეტყველებს მის მონაცემებზე. აშშ-ის არმიის გენერლის, ჩარლზ რიჩარდის განცხადებით: „...უკრაინაში მიმდინარე საომარი ვითარება მხოლოდ მოთელვაა დიდი ბრძოლების წინ“. ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა ტელეინტერვიუში თქვა: „..რუსეთი უნდა დავამარცხოთ, გავანადგუროთ. ამიტომ უნდა გავაგრძელოთ უკრაინისთვის დახმარება. ამის გარდა, გავხლიჩოთ, შევარყიოთ რუსეთის ხელისუფლება“. ამერიკელი სამხედრო ექსპერტის, დუგლას მაკგრეგორის განცხადებით, „აშშ-ის ოფიციალური ხელისუფლება თავისი მოქმედებით ცდილობს, ჩაერიოს უკრაინა-რუსეთის სამხედრო კონფლიქტში, რაც, ადვილი შესაძლებელია, ფართომასშტაბიან მსოფლიო ომშიც გადაიზარდოს“.




უკიდურესად დაიძაბა შიდაპოლიტიკური ვითარება აშშ-ში. ერთ-ერთი მთავარი მიზეზი შუალედური არჩევნებია. ვადამდელი ხმის მიცემის პროცედურა დასრულდა, მთავარი ბატალიები კი გუშინ დაიწყო. რეალურად, აშშ-ის მოსახლეობა ორად არის გახლეჩილი (თუმცა არიან ნეიტრალურ პოზიციაზე მყოფებიც) — რესპუბლიკური და დემოკრატიული პარტიების მომხრეებად. განსხვავებული აზრი ყოველთვის იყო და იქნება აშშ-ში, მაგრამ მსგავსი მწვავე დაპირისპირება ქვეყნის ისტორიაში, ასი წლის განმავლობაში არ ყოფილა. გაუარესებულ ეკონომიკურ ვითარებას, ინფლაციას, კრიმინალური მდგომარეობის გამწვავებაც ემატება, რაზეც მოსახლეობა აღშფოთებული საუბრობს. დანაშაულის მკვეთრი ზრდა აშშ-ში 2020 წელს, საპრეზიდენტო არჩევნების წინ დაიწყო.

გაორებული გრძნობით მიდის არჩევნებზე აშშ-ის მოსახლეობა. ნაწილი მიიჩნევს, რომ არჩევნები არაობიექტურად ჩატარდება, ანუ გაყალბდება. წინასწარი გამოკითხვებით, დემოკრატიულმა პარტიამ ბევრი ამომრჩეველი დაკარგა. პოლიტოლოგები უკვე ღიად პროგნოზირებენ რესპუბლიკელების უმრავლესობით მოსვლას კონგრესსა და სენატში. წინასწარი მონაცემებით, დემოკრატებმა დაკარგეს ნიუ-იორკი, რომელიც უპირობოდ ითვლებოდა მათ მხარდამჭერად ისევე, როგორც სხვა დიდი ქალაქები და შტატები. რესპუბლიკელი აქტივისტები იარაღით იცავენ საარჩევნო უბნებს. იქადნებიან, რომ არავის მისცემენ არჩევნების გაყალბების საშუალებას.

სწორედ შექმნილი მდგომარეობა აშფოთებს მოქმედ პრეზიდენტს, ჯო ბაიდენს. მას სასტიკად არ უნდა საკანონმდებლო ორგანოში რესპუბლიკელების უმრავლესობით მოსვლა, ამიტომ აშინებს მოსახლეობას — თუ მხარს მათ დაუჭერენ, ქვეყანა დაიღუპება. მძიმე პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, ბაიდენი იძულებული გახდა, თავად ეწარმოებინა დემოკრატების მხარდამჭერი კამპანია სხვადასხვა შტატებში დევიზით „ვაშენებთ უკეთეს ამერიკას“. დახმარებისთვის ყოფილ უფროსს, 44-ე პრეზიდენტს, ბარაკ ობამასაც მიმართა, რომელთანაც აგიტაციას აწარმოებდა. რა შედეგი გამოიღო კამპანიაში ობამას მონაწილეობამ, ამ დღეებში გამოჩნდება. საერთოდაც, ენაკვიმატი პოლიტოლოგები ბაიდენის პრეზიდენტობას „ობამას მესამე ვადით პრეზიდენტობად“ მიიჩნევენ.



პრეზიდენტის გარდა, პარტიაშიც აშინებთ რესპუბლიკელების უმრავლესობით მოსვლა. ამიტომ, ისინიც აშანტაჟებენ მოსახლეობას — თუ რესპუბლიკელები მოვლენ სათავეში, აშშ-ში დემოკრატია დასრულდებაო. თავის მხრივ, რესპუბლიკელების ნაწილი უკვე დაემუქრა დემოკრატებს, რომ უმრავლესობაში მოსვლის შემთხვევაში ამოშანთავენ მათ დანატოვარს. პენსილვანიის შტატში ამომრჩეველთან შეხვედრისას ჯო ბაიდენმა განაცხადა: „...როცა პრეზიდენტად მოვედი, აშშ-ის ეკონომიკა დანგრეული იყო, გაზრდილი იყო ფასები, მათ შორის, საწვავზეც“. ოპონენტებმა პრეზიდენტი ტყუილში დაადანაშაულეს და დასცინეს კიდეც. სტატისტიკური მონაცემებით, საწვავის ფასი 2020 წლისთვის დღევანდელთან შედარებით ორჯერ ნაკლები იყო. ამის გარდა, გაიზარდა არალეგალი მიგრანტების რაოდენობა — ბაიდენის მმართველობის პერიოდში აშშ-ში 1,7 მლნ არალეგალი მიგრანტი შევიდა. აქედან 1,3 მლნ ლათინური ამერიკის ქვეყნებიდან. „...რესპუბლიკელებმა უკვე მითხრეს, რომ თუ საკანონმდებლო ორგანოში უმრავლესობით მოვლენ, იმპიჩმენტს გამომიცხადებენ, მაგრამ რისთვის?“ — დაიჩივლა ბაიდენმა მხარდამჭერებთან შეხვედრაზე. თუმცა ისიც თქვა, რომ „ირანი მალე თავისუფალი იქნება“. რა იგულისხმა, უცნობია, მაგრამ გასაჯაროვდა, რომ ბაიდენი აპირებს ჯარების რაოდენობის გაზრდას იაპონიაში, სამხრეთ კორეასა და ავსტრალიაში, ანუ საომარ რიტორიკას მოქმედი პრეზიდენტი ჯერაც ვერ შეელია.

ტრადიციულად, მემკვიდრეს კრიტიკას არ აკლებს 45-ე პრეზიდენტი დონალდ ტრამპი: „...ბაიდენი ერთ-ერთი ყველაზე ცუდი პრეზიდენტია აშშ-ის ისტორიაში, რომელიც ახლა ალაპარაკდა რუსეთთან მოსალოდნელ ბირთვულ ომზე. აშშ ვერ გაუძლებს კიდევ ორი წელი ისეთ პრეზიდენტს, როგორიც ბაიდენია“, — განაცხადა ტრამპმა. შუალედურ არჩევნებში რესპუბლიკელების გამარჯვების შემთხვევაში, იგი კვლავ დააყენებს თავის კანდიდატურას 2024 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში. უცნაური ფაქტია — ადვილი შესაძლებელია, აშშ-ის სათავეში „წითლები“ მოვიდნენ — წითელი რესპუბლიკური პარტიის ფერია. რამდენიმე დღეში გავიგებთ, ვინ იქნება აშშ-ის საკანონმდებლო ორგანოში მმართველი ძალა — „წითლები“ თუ „ლურჯები“. პოლიტოლოგების შეფასებით, აშშ-ის საგარეო პოლიტიკა რადიკალურად არ შეიცვლება. რესპუბლიკელების განცხადებით, უკრაინის ფინანსურ და სამხედრო დახმარებას მინიმუმამდე შეუმცირებენ. თუმცა, ვნახოთ.

ბრიტანულმა პრესამ გაზსადენების აფეთქებასთან დაკავშირებით გასულ კვირას სკანდალური ინფორმაცია გაავრცელა. როგორც ირკვევა, ჰაკერებმა ყოფილი პრემიერის ლიზ ტრასის პირადი აიფონის კოდი გატეხეს. გაზსადენებზე განხორციელებული ტერაქტის შემდეგ მან აშშ-ის სახელმწიფო მდივანს ენტონი ბლინკენს მისწერა: „საქმე გაკეთებულია“. რითიც კიდევ უფრო გაამყარა რუსეთის ხელისუფლების ეჭვები, რომ აფეთქება ბრიტანეთმა და აშშ-მ განახორციელეს. გავრცელებულ ინფორმაციაზე ბრიტანეთში და აშშ-ში არანაირი კომენტარი არ გაუკეთებიათ. ბრიტანეთში მოწყობილ „კოცონის ღამეს“ ტრასის ფიტული დაწვეს. მის თანაპარტიელებს სურთ, ეკონომიკური კრიზისი მხოლოდ მას დააბრალონ, თავად კი პასუხისმგებლობას იხსნიან. ფაქტია, 44 დღეში მარტო ტრასი ვერ შეძლებდა მწვავე ეკონომიკური კრიზისის შექმნას ქვეყანაში. მოსახლეობის უმრავლესობა ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს ითხოვს, რადგან ქვეყანაში შექმნილ რთულ ვითარებაში მთლიანად კონსერვატიულ პარტიას ადანაშაულებენ.



მოულოდნელი აღმოჩნდა მსოფლიოს პოლიტიკოსებისთვის გერმანიის კანცლერის, ოლაფ შოლცის ჩინეთში ვიზიტი. ოფიციალური განცხადებით, იგი ჩინეთში დიპლომატიური კავშირის დამყარების თარიღთან დაკავშირებით ჩავიდა. კანცლერს გერმანელ ბიზნესმენთა არმია ახლდა. პეკინში ჩასულ შოლცს აეროპორტში ჯერ კოვიდზე ტესტირება ჩაუტარეს, შემდეგ კი მისი ოფიციალური ვიზიტი დაიწყო. თუმცა ჩინეთის მმართველმა სი ძინპინმა სანიტარული ნორმების დაცვის მიზნით სტუმარს შეხვედრისას ხელი არ ჩამოართვა. დღეს გერმანიის ეკონომიკა მძიმე მდგომარეობაშია ენერგომატარებლებზე გაზრდილი ფასების გამო. ამიტომ შოლცი გამოსავალს ეძებს — წარმოებები ან აშშ-ში უნდა გადაიტანონ, ან ჩინეთში. შოლცმა 200 მლრდ ევრო გამოყო ბიზნესის დასახმარებლად. თანხა ობლიგაციების გაყიდვით უნდა შეევსოთ, მაგრამ თვე-ნახევარში მხოლოდ რამდენიმე მილიონი მიიღეს. სწორედ ამიტომ ჩავიდა შოლცი ჩინეთში, რითიც პარტნიორი ქვეყნების და საკუთარი მთავრობის წევრების კრიტიკა დაიმსახურა. იმასაც ამბობენ, ჩინეთში ჩასვლით შოლცმა ბაიდენს სილა გააწნაო, მაგრამ იგი საკუთარი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებს, ჩვენთვის, საქართველოსთვისაც სამაგალითო უნდა გახდეს ქვეყანაზე ზრუნვა.

უკრაინაში კი საომარი მოქმედებები გრძელდება, ქვეყნის დიდი ქალაქები კვლავ ჩაბნელებულია. საგარეო საქმეთა მინისტრმა დმიტრი კულებამ მოსახლეობას ურჩია, უშუქობა რაციონალურად გამოიყენონ და შობადობა გაზარდონ. იქაური ხელისუფლებისგან მეტს რას უნდა ელოდო... მართალია, აშშ-მ დახმარების ახალი პაკეტი აღუთქვა უკრაინელებს, მაგრამ თეთრი სახლის ადმინისტრაცია მოუწოდებს უკრაინის მთავრობას, უარი აღარ თქვან რუსეთთან მოლაპარაკებებზე.

ამ კვირაში ბევრი მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენაა მოსალოდნელი, მათ შორის, საქართველოსთვისაც. დაველოდოთ სიახლეებს...

**გია ბურდული**
551 71 27 07

# მასონური ელიტის ბოროტი ზრახვანი

ჩრდილოამერიკული ჯორჯიის ჩრდილო-დასავლეთით კლდოვან მაღლობზე მდებარეობდა ჩვენს დროში აგებული ერთ-ერთი უცნაური მონუმენტი, რომელიც ცნობილი იყო სახელწოდებით: „**Georgia Guidestones**“, ანუ „ჯორჯიის ფილაქნები“.

ეს ნაგებობა ხუთი მეტრის სიმაღლის გრანიტის ხუთი ოცტონიანი მოპირკეთებული ფილისგან შედგებოდა. „ჯორჯიის ფილაქნებზე“ რვა თანამედროვე ენაზე ამოტვიფრული იყო „თანამედროვე“ ათი მცნება შთამომავლობისთვის.

1. დაე, დედამიწის მოსახლეობამ ვერასოდეს გადააჭარბოს 500 მილიონს, რათა ბუნებასთან მუდმივ წონასწორობაში იყოს.

2. ცხოვრებისეული მომზადების ღირებულებისა და კაცობრიობის მრავალფეროვნების ამაღლებით, გონივრულად მოაწესრიგეთ შობადობა.

3. ჰპოვეთ ახალი, ცოცხალი ენა, რომელიც შეძლებს კაცობრიობის გაერთიანებას.

4. გამოიჩინეთ შემწყნარებლობა გრძნობების, სარწმუნოებების, ტრადიციებისა და მათ მსგავსთა მიმართ.



5. დაე, სამართლიანმა კანონებმა და მიუკერძოებელმა სასამართლომ დაიცვას ერები და ხალხები.

6. ყოველმა ერმა თვითონ გადაწყვიტოს თავისი საშინაო საქმეები, მსოფლიო სამსჯავროზე კი მხოლოდ ზოგადეროვნული პრობლემები გამოიტანოს.

7. თავი აარიდეთ წვრილმან სასამართლო გარჩევებს და უსარგებლო მოსამსახურეებს.

8. მხარი დაუჭირეთ წონასწორობას პირად უფლებებსა და საზოგადოებრივ მოვალეობებს შორის.

9. უპირველეს ყოვლისა, დააფასეთ სიმართლე, სილამაზე და სიყვარული. მიისწრაფვოდეთ უსასრულობასთან ჰარმონიისკენ.

10. ნუ გადაიქცევით დედამიწის კიბოდ, ბუნებასაც დაუტოვეთ თავისი ადგილი!

მკითხველისთვის რთული მისახვედრი არ იქნება, რამხელა „სიბრძნეა“ ჩადებული ამ ათი მცნების სტრიქონებს შორის... აღსანიშნავია, რომ მონუმენტი ორიენტირებული გახლდათ ნათლის მხარეს, ზოგიერთ ადგილას კი იყო ხვრელები, რომლებიც პოლარულ ვარსკვლავსა და მზეზე მიანიშნებდნენ. მთელი ეს კონსტრუქცია შექმნა ადამიანთა ჯგუფმა, რომელთა ვინაობა დღემდე არავინ იცის. ცნობილია მხოლოდ ის, რომ 1979 წლის ივნისში უცნობმა პირმა, რომელიც ამოფარებულია ფსევდონიმს **R. C. Christian**, მონუმენტი შეუკვეთა კომპანიას: **Elberton Granite Finishing Company.** ერთ-ერთი ჰიპოთეზის თანახმად, ფსევდონიმი გამომდინარეობს XIV ს-ში როზენკრეიცერების ლეგენდარული დამფუძნებლის, ქრისტიან როზენკრეიცერის სახელიდან. ასევე უცნობია, ვინ იყო მონუმენტის მფლობელი.

კომპანია „**Georgia Mountain Travel Association**“-ის გზამკვლევის მიხედვით, „ჯორჯიის ფილაქნები“ მილდრედისა და უეინ მალენიქსის ფერმის ტერიტორიაზე მდებარეობს... ელბერტის ოლქის მიწის კადასტრის ჩანაწერის თანახმად, მიწა ოლქისგან 1979 წლის 1 ოქტომბერს შეისყიდეს. ძეგლი საზეიმოდ გახსნეს 1980 წლის 22 მარტს. გახსნის ცერემონიას 400 (სხვა მონაცემებით კი 1000) ადამიანი ესწრებოდა. ერთი ფილა მოთავსებული იყო ცენტრში, ოთხი - მის გარშემო. ბოლო ფილა ამ ხუთი ფილის ზემოთ იდო, რომლებიც ასტრონომიული მოვლენების მიხედვით იყო განლაგებული. ძეგლიდან დასავლეთით, მიწაზე იდო ქვის ფილა წარწერით, რომელიც ფილაქნების წარმოშობასა და დანიშნულებაზე გვამცნობდა. ამ ქვის გიგანტებს ზოგჯერ „ამერიკულ სტოუნჰენდჯსაც“ უწოდებდნენ, თუმცა ოფიციალურად აშშ-ში თავისი სტოუნჰენდჯი - „მისტერი ჰილ“-ის არქეოლოგიური ძეგლი არსებობს, რომელიც დიდი ზომის ლოდებისა და ქვის ნაგებობებისგან შედგება და დაახლოებით 120 კვ/კმ ტერიტორიაზეა განფენილი აშშ-ს ჩრდილო-აღმოსავლეთით, ნიუ-ჰემპშირის შტატის ქ. სალემში. ასე რომ, ზოგიერთს ხშირად ერთმანეთში ერეოდა ეს ორი ობიექტი, რომელთაც ერთმანეთთან არაფერი აქვთ საერთო. საინტერესოა, კიდევ ერთი წარწერა, რომელიც ჯორჯიის ფილაქნებზე იყო ამოტვიფრული: „დაუთმეთ ეს ფილაქნები გონიერ ეპოქას“, ანუ იმ ადამიანებს, რომლებიც ჩვენს შემდეგ იცხოვრებენ და ამ ფილაქნებში ჩადებული პოსტულატების რაციონალურად შეფასების უნარი ექნებათ. ჯორჯიის ფილაქნები უკვე აღარ არსებობს. მძლავრი აფეთქების შედეგად მასიური კონსტრუქცია მთლიანად დაინგრა. „ამერიკულ სტოუნჰენდჯად“ წოდებული ჯორჯიის ფილაქნები იდუმალი ღირსშესანიშნაობაა გონების „ახალი ეპოქის“ შესაქმნელად. ფილაქნებზე სხვადასხვა ენაზე ამოტვიფრული იყო ათი სახელმძღვანელო პროგრამა, რომლებიც მსოფლიო ელიტისთვის ესოდენ ძვირფას რამდენიმე საკითხს ეხებოდა. მიუხედავად ამისა, „ფილაქნები“ მაინც წინააღმდეგობრივი ძეგლი გახდა: შეინარჩუნეთ კაცობრიობა 500 000 000 ადამიანამდე ბუნებასთან მარადიულ წონასწორობაში - დედამიწის მცხოვრებთა რაოდენობა 500 მილიონ ადამიანამდე რომ დავიდეს, საჭიროა დღევანდელი კაცობრიობის დაახლოებით 93%-ის გაწყვეტა. ამ მიზეზით ჯორჯიის ფილაქნები იმის კონკრეტულ მტკიცებულებად მიაჩნდათ, რომ ელიტა ჩაციკლულია ადამიანთა მასობრივ დეპოპულაციაზე. მრავალი წლის განმავლობაში ეს ღირსშესანიშნაობა უამრავი ადამიანის დიდ ყურადღებას იპყრობდა. მართლაც, ეს ძეგლი უცნაურ რიტუალთა ადგილი გახდა. აქ იკრიბებოდნენ წარმართული და ოკულტური ჯგუფები - ხშირად იმ თარიღებში, რომელთაც ასტრონომიული და ოკულტური მნიშვნელობა ჰქონდა. ის ასევე იყო ვანდალიზმის აქტების ობიექტი, რადგან სატანური სიმბოლოები და ახალი მსოფლიო წესრიგის საწინააღმდეგო გზავნილები აეროზოლური საღებავებით არაერთხელ წაუწერიათ კონსტრუქციაზე. ზემოთნათქვამის მიხედვით, „ჯორჯიის ფილაქნები“ უკვე ისტორიაა. 6 ივლიის, დაახლოებით დილის 4 საათზე „უცნობმა პირებმა“ ასაფეთქებელი მოწყობილობა აამოქმედეს. (სოციალურ ქსელში არსებობს ვიდეომასალაც) აფეთქებამ ერთ-ერთი ფილაქანი ნამცეცებად აქცია და სერიოზულად დააზიანა ძირითადი ფილა. ვიდეოზე ჩანს, აფეთქების შემდეგ როგორ გადის ამ ადგილიდან ავტომობილი. ჯორჯიის შტატის გამოძიებათა ბიუროს განცხადებაში ნათქვამია, რომ ის იკვლევს აფეთქებას ელბერტის ოლქის შერიფთან ერთად. ფილაქნები აფეთქებიდან რამდენიმე საათის შემდეგ, „უსაფრთხოების თვალსაზრისით“ ნაგებობა სრულიად აიღეს. ვიდეომასალაში ჩანს, თუ როგორ ეცემა ფილაქნები მიწაზე. ვინ იფიქრებდა, რომ დადგებოდა დრო, როდესაც ჯორჯიის ფილაქნებს ნაცარტუტად აქცევდნენ. იმ დროს, როდესაც ნამდვილი სტოუნჰენდჯი 5000 წელია, ჯერ კიდევ დგას, ამერიკულმა სტოუნჰენდჯმა ორმოცი წელიც ვერ გაძლო. ვინმემ შეიძლება თქვას, რომ ფილაქნების სრული აღება კიდევ უფრო მეტ იდუმალებას შესძენს ამ ძეგლს, რადგან იმ ადამიანის ვინაობა, ვინც მისი აფეთქების ბრძანება გასცა, სამუდამოდ გასაიდუმლოებულია. 2013 წელს, უიატ მარტინმა, რომელიც ძეგლის დადგმის ორგანიზებაში იღებდა მონაწილეობას, თქვა: „ფიცი მივეცი იმ ადამიანს და ვერ დავარღვევ. ვერავინ ვერასოდეს გაიგებს მის ვინაობას“. ფილაქნების განმარტებითი ტაბლო იუწყება, რომ ამ იდუმალი ადამიანის ფსევდონიმი იყო **RC Christian**. ეს არის საკმაოდ აშკარა გადამისამართება როზენკრეიცერთა ორდენის ლეგენდარული დამაარსებლის ქრისტიან როზენკრეიცერისადმი, რომელიც ცნობილია აბრევიატურით **RC.** ეს არის საიდუმლო ორგანიზაცია, რომელიც საუკუნეების განმავლობაში გავლენას ახდენდა მსოფლიო მოვლენებზე. ამ მონუმენტში ყველაფერი მიუთითებდა ოკულტურ ელიტასა და საიდუმლო საზოგადოებებზე, რომლებიც მისი ფილოსოფიით იკვებებოდნენ. მართალია, ძეგლი უკვე აღარ არის, მაგრამ იდეალები, რომლებიც მის უკან იდგა, საუკუნეებია არსებობს და მომავალშიც იარსებებს. თუმცა ოცდამეერთე საუკუნეში ყველაფერი შეიცვალა. თუკი ადრე ადამიანები სულაც არ აქცევდნენ ყურადღებას ამგვარ ობიექტებს, საინფორმაციო ეპოქამ მასობრივი გამოღვიძება გამოიწვია. ახლა ოკულტური ელიტის გეგმები უფრო და უფრო მეტ წინააღმდეგობებს აწყდება. ამიტომაც, ჯორჯიის ფილაქნების უკან მდგომებმა, შესაძლოა, ახლა შვებით ამოისუნთქეს, რადგან თვალსაჩინო და მათი საქმიანობის მამხილებელი მონუმენტი გაქრა. ცრუ ინფორმაციებისა და მოსახლეობის დამაბნეველი პროპაგანდის ეპოქაში ჯორჯიის ფილაქნები საკმაოდ მკაფიო, მოკლე და შემაშფოთებელი ინფორმაციის მატარებელი იყო. ამ ძეგლში პირდაპირ, აშკარად და ყველას დასანახად იყო ამოტვიფრული მასონური ელიტის ბოროტი მიზნები. როგორც ჩანს, მათ ამგვარი საინფორმაციო ძეგლის არსებობა უკვე აღარ აწყობთ. დღეისთვის ისინი კვლავ ცდილობენ, დამალონ თავიანთი ჭეშმარიტი ზრახვები, რაშიც უამრავ ცრუ ინფორმაციას იყენებენ, და რითაც მასებს კვლავ სიბნელისკენ უბიძგებენ.





**მარიამ ჯანჯღავა**
511 17 73 72

# მარადისობაში გაშალა ფრთები...

და იცით, რა უპასუხა? ძამიკო, თუ არ გეწყინებათ, ჩამოთვლას მეხუთედან დავიწყებო...

ცნობილია, რომ მომაბეზრებელ და უტაქტო ლიტერატორებს აფრთხილებდნენ: გალაქტიონს გამომწვევად არ დაელაპარაკოთ, თორემ იმ ვებერთელა პორტფელს, თან რომ დაათრევს, თავზე დაგამხობთო.

„საერთო გაზეთის“ სტუმარია მარინე-კაკინე, გალაქტიონის გამრთობი პატარა გოგო, არასისხლისმიერი შვილიშვილი, პროფესიით მუსიკოსი, ქალბატონი მარინე.

— პატარა ვიყავი, როდესაც ნინა ბებიამ და გალაქტიონმა წამომიყვანეს სახლიდან და ბაბუის გარდაცვალებამდე მათთან ვცხოვრობდი. საქმეში იმაში გახლდათ, რომ დედაჩემი, ნუნუ ებანოიძე უნივერსიტეტის ქალთა კალათბურთის გუნდის კაპიტანი იყო და ხშირად უწევდა შეჯიბრებებზე სიარული საბჭოთა კავშირის მასშტაბით. მამაჩემი გახლდათ ვახტანგ (ვატა) ფირცხალავა, მსახიობი, რომელიც თქვენთვის ცნობილია ფილმებიდან: „აბეზარა“ და „ქეთო და კოტე“. სხვა როლები ნაკლებად ცნობილია თანამედროვეებისთვის.

ძნელია, ილაპარაკო გალაქტიონზე, მაგრამ შევეცდები. ქუთაისიდან იწყებოდა მისი სასიამოვნო მოგონებები, რადგან ბევრი რამ აკავშირებდა ამ ქალაქთან: პირველი წიგნი, პირველი ლიტერატურული საღამო, რომელსაც აკაკი ესწრებოდა. იქ ჩაეყარა საფუძველი გალაქტიონისა და კონსტანტინე გამსახურიას მეგობრობასაც...

ზაფხულში, წყნეთში რომ ვიყავით, „ბატონები“ შემეყარა. დამასია პროფესორები, ბავშვს მიმიხედეთო და მე მკითხა, რა გაგიხარდება, გენერალოო? (გენერალსაც მეძახდა) პატარა ბავშვმა ცოცხალი წიწილა მოვინდომე და საღამოს ერთი მანქანა წიწილები მომიყვანა. მაისში რომ ავიდოდით წყნეთის სახლში, ოქტომბრის ბოლომდე ვრჩებოდით, რა უნდა ექნათ ამ წიწილებისთვის, პატარა „კერასინკა“ გვქონდა და ეს ამდენი წიწილა იმის გარშემო იყო შემოჯარული — მასიამოვნა პატარა გოგოს...

სკოლაში რომ წავედი, ანბანიც ვიცოდი, „ვეფხისტყაოსნიდან“ ფრაზები, წერა-კითხვაც, ლექსები — სირცხვილია, რომ არ იცოდეო და მეც ვსწავლობდი, სირცხვილი არ უნდა მეჭამა... თუ სახლში იყო და დრო ჰქონდა, ჩემს უგზო-უკვლოდ განათლებაზე იყო გადასული, მოსწონდა, რომ ჩემს განათლებაზე ზრუნავდა. იყო ასეთი ფლამანდრიელი მხატვარი — ვან ეიკი, მისი რეპროდუქციები უნდა დამეთვალიერებინა და შემდეგ უნდა განგვეხილა, რა არ მომეწონა, ან რატომ მომეწონა. გარდაცვლებამდე ცოტა ხნით ადრე მომიტანა „სახელგამიდან“ (ახლა მუზეუმშია) ჩინელი მხატვრების რეპროდუქციები. შთაბეჭდილებებში მიწერია: „დღეს დავათვალიერე და მომეწონა „ბიჭი და ჩიტი“... მარინედ მომიხსენიებდა, მაგრამ გალაქტიონისთვის კაკინა ვიყავი, რადგან პატარაობისას „კაკებს“ ვთხოვდი. პირველი შეკითხვა ეს იყო: „კაკა მომიტანე?“ მთელი ჩემი სამეგობრო და დედაჩემის მეგობრები კაკინას მეძახდნენ — ასაკში ვარ ქალი და ჩემი მამიდაშვილი მაინც კაკინას მეძახის. გალაქტიონმა ლექსი მომიძღვნა ექსპრომტად:

„მარინა, მარინა, ა,
რა ლურჯად კამკამებს ცა,
მარინა, მარინა, ე,
რა წყნარად შრიალებს ტყე,
მარინა, მარინა, ო,
იმღერე, შენია დრო,
მარინა, მარინა, უ,
რაკრაკით გემახის რუ.“

გალაქტიონი მშვენივრად ერთობოდა ჩემთან, მისთვის ერთგვარი დამამშვიდებელი ვიყავი: „წიგნაკო წვათა რიგს შენ განმარიდე, ამ წიგნს მიგზავნის ჩემი მარინე“, — ეს დამიწერა და მესამე დღეს გარდაიცვალა...

რატომღაც ასეა ცნობილი, თითქოს სულ ნასვამი იყო — ასეთ შედევრებს ნასვამი კაცი რანაირად დაწერს... სინამდვილეში, შიგადაშიგ რამდენიმე დღე გადაბმით სვამდა და ეს ხდებოდა სალაპარაკო...

ბებია ძალიან განათლებული ქალი იყო, ნინა კვირიკაძე. გალაქტიონის პირველი ცენზორი და პირველი კრიტიკოსი. ფაქტობრივად, საზოგადოებამ თითქმის არაფერი იცის გალაქტიონზე (მათ შორის არც ის, რომ ნინა კვირიკაძე გალაქტიონის ოფიციალური მეუღლე იყო). არადა, ისიც ჩვეულებრივი მოკვდავი იყო თავისი სისუსტეებით... ძნელია, ილაპარაკო გალაქტიონზე, როგორც მეფე-პოეტზე, მაგრამ ადამიანური კუთხით, შესაძლებელია.

გალაქტიონი გასული საუკუნის დასაწყისში გადასახადების ამკრეფად მუშაობდა ქვემო დიმში და იქ გაიცნო ბებია. გალაქტიონი თუ მზეჭაბუკივით მომხიბვლელი იყო, ბებია სხვანაირად სიმპათიური გახლდათ, იმდენად, რომ უკვე პოპულარულმა გალაქტიონმა ჩუმად აკოცა ნაწნავზე ისე, რომ ბებია ვერ მიხვდა, მაგრამ თანმხლები ახალგაზრდები გამხიარულდნენ.

იმ დროს ახალგაზრდებს სხვა შეკრების ადგილი არ ჰქონიათ, გარდა ეკლესიის ეზოსი და ხანისწყლის ნაპირისა. გალაქტიონს ეს რომ გაუგია, მასაც იქ დაუწყია სიარული და იქაურ ახალგაზრდებს დაახლოებია. ბებია იხსენებდა: ერთი ულამაზესი საღამო მქონდა გულში ჩარჩენილი, ხანისწყლის ნაპირზე, ამაღლებულ ადგილზე ანტიკური ქანდაკებასავით იდგა ლამაზი ჭაბუკი და განსაკუთრებული ინტონაციით, წამღერებასავით კითხულობდა ლექსებსო. იმავე საღამოებს კი გალაქტიონი ასე იხსენებდა: „დაუვიწყარია ჩემთვის მთვარის შუქით განათებული ხანისწყლის პირას მიმღერალი სამი ასული — ერთი მათგანი ნინო იყო“. თუმცა გალაქტიონისთვის რატომღაც „ნინა“ უფრო მოსაწონი იყო და ასეც მიმართავდა.


გალაქტიონი და მარინე ფირცხალავა

ბებია აქტიური გოგონა იყო, ხშირად მონაწილეობდა საქველმოქმედო ღონისძიებებში. ერთ დღეს „ქრისტინეს“ წარმოდგენისას მოულოდნელად სცენაზე წითელმა ვარდებმა დაიწყო ცვენა. ვერავინ მიხვდა, რა ხდებოდა. გალაქტიონი სცენაზე აიჭრა და ხელები დაუკოცნა ბებიას. რა თქმა უნდა, ფარდა დაეშვა და წარმოდგენა ჩაიშალა. გალაქტიონს ორი ბიჭი დაუქირავებია და ნინოს ქანდარიდან აყრიდნენ ვარდებს... ამას ისეთი ამბავი მოჰყვა — რეგიონული გაზეთი წერდა: ეს რა ჩაიდინა მოხულიგნო პოეტმა გალაქტიონ ტაბიძემ, სცენაზე აუვარდა მსახიობ ქალს, ნინო კვირიკაძეს და წარმოდგენა ჩაშალაო.

„მოხულიგნო პოეტი“ გალაქტიონ ტაბიძე და ნინო განგებამ დააშორა, მაგრამ 27 წლის შემდეგ კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს და გალაქტიონის გარდაცვალებამდე ბოლო 16 წელი ერთად გალიეს...

ოლია ოკუჯავა, რა თქმა უნდა, გაგიჟებით უყვარდა გალაქტიონს, შემდეგ ბალტიისპირელი ქალი შეუყვარდა, მერე ისევ ბებიას შეხვდა. ეს საბედისწერო შეხვედრა იყო, თორემ სხვაგვარად როგორ იქნებოდა, როცა ერთმანეთი ზემო დიმის ქაშუეთის წმინდა გიორგი — ძალდიდებულის ეკლესიის ეზოში გაიცნეს, გალაქტიონი ქვაზე იჯდა და წერდა. მანამდე ბიბლიოთეკაში შეხვდა და ცუდად, თავხედ ყმაწვილად დაამახსოვრა თავი: ეს რა მტრედი მოფრენილაო, — უთქვამს ბებიას დანახვაზე, ბებია კი ასეთ მიმართვას ვერ აიტანდა... ახლა სასაცილოდ მოჩანს შორიდან, მაგრამ ბებია თავდაჭერილობით გამოირჩეოდა...

საადვოკატო კანტორა, სადაც ბებია ადვოკატად მუშაობდა, ვერის ბაღში იყო. გაუხედავს და რას ხედავს, გალაქტიონი მოსეირნობს შალვა დადიანთან ერთად. დაბნეულა ბებია, მაგრამ გალაქტიონს როგორც კი დაუნახავს, მისულა და უკითხავს: ნინო, თქვენ ხართ? ბებია შემცბარა, ჰო, ნინო ვარო... გალაქტიონმა შუბლზე აკოცა და შალვასთან ერთად ისეთი მეგობრული ატმოსფერო შეუქმნია, რომ ბებიაც გაშინაურებულა. საუბარში გალაქტიონს ჩაურთავს: „იცი, შალვა, პარიზში რომ ვიყავი კონგრესზე, ბალმონტი ვნახე, ძალზე მოხუცებულა, მისი სიტყვები მომაგონდა **«Откуда приходышь ты, красота?!»** როგორ ფიქრობ, შალვა, ნინო გამორჩეული პიროვნება რომ არ ყოფილიყო, პოეტის დატყვევებას მოახერხებდა?“

„ნინო, კიდევ 27 წელი უნდა დამეკარგო, ისევ უნდა გაუჩინარდე?“ — უკითხავს გალაქტიონს ბებიასთვის და ნინას თავი გაუქნევია, აღარო, იმ დღესვე შეუღლდნენ...

ბებია რამ გადაარჩინა, თვითონაც არ იცის, მხოლოდ „ჩეკისტის“ ფორმიანი კაცის სახით მოვლენილი მხსნელი ახსოვდა, რომელმაც მხოლოდ ერთი ფრაზის თქმა მოასწრო: „დაწექით, თქვით რომ მაღალი სიცხე გაქვთ!“ ამ ფრაზას სამი „ჩეკისტი“ მოჰყვა და პირველმა უთხრა მათ, რომ ქალი მძიმე ავადმყოფი იყო. „ჩეკისტებმა“ სახლი გაჩხრიკეს და რადგან ვერანაირი სამხილი ვერ ნახეს, თავი დაანებეს ნინას. რომ ეგონა, დაავიწყდათ „ჩეკისტებს“, უწყება მოუვიდა — „ჩეკაში“ უნდა გამოცხადებულიყო. რა ექნა, ბავშვები ქაშვეთის ეკლესიაში გააგზავნა იმ იმედით, რომ, თუ დააპატიმრებდნენ, მოძღვარი იზრუნებდა მათზე... ბებია იხსენებდა, როდესაც „ჩეკადან“ გამომიშვეს და სირბილით მივედი ეკლესიაში, არაფერი მახსოვს, შვილები ვერ ვიცანი სანამ მათი ხმა არ შემომესმა „დედაო!..“ მთლად განათებული იყო ეკლესია, მოძღვარის თხოვნით იქ მყოფ ადამიანებს სანთელი დაუნთიათ ნინას სახელზე...

ისეთი ტკბილი იყო გალაქტიონი, პატარა ბავშვსაც არ ეტყოდა შენიშვნას... მე ვერთობოდი, გრძელი წვერი ხომ ჰქონდა და ვუბურდავდი, ვუვარცხნიდი, ვუწნიდი. მას კი გაუნძრევლად შეეძლო თოჯინასავით ჯდომა, საათობით...

გალაქტიონს რატომღაც სჯეროდა რომ მხატვრობის დიდი ნიჭი მქონდა. არადა, ამაოდ ფიქრობდა ასე. დაჯდებოდა და, აბა, ბაბუ, დამხატეო. რისი დამხატავი ვიყავი, რაღაცას ვჯღაბნიდი. ნინა, ნახე, როგორ დამხატა ბავშვმაო, გახარებული ამბობდა. მოკლედ, პიონერთა სასახლეში რაღაც წრეზე ჩამწერეს., მე ხატვა არ მინდოდა. რას გადამეკიდა-მეთქი, ვფიქრობდი. სასახლიდან დარეკეს, ბავშვი მოიყვანეთო, მაგრამ ფეხი ვერ გადამადგმევინეს..

რაც მე მახსოვს, ჯოხით დადიოდა გალაქტიონი. რომ ამოვიდოდა წყნეთში, ამ ჯოხზე ახორხლილი ჰქონდა კანფეტები, „ბუბლიკები“, ბუშტები — მთლად გაფერადებული იყო ჯოხი...

პოეტების მეფედ აღიარებული გალაქტიონი სინამდვილეში მორიდებული და ძალზე მგრძნობიარე ადამიანი იყო. თვითონ იხსენებდა, როგორ მიიყვანა ერთ დღეს პაოლომ ტიციანი და გალაქტიონი მკერავთან და გასამრჯელოზე საუბარი რომ წამოუწყიათ, გამოპარულა. რომ გამოვიდნენ, მასხრად ამიგდეს, ნახე, გატუნიას ყურებიც კი გაწითლებია სირცხვილისგანო...

პროფესორი იოსებ მეგრელიძე იხსენებდა: პეტერბურგში ყოფნისას გალაქტიონს ერთი რუსი მხატვარი ქალი გავაცანი, რომელიც ტიციანს იცნობდა. მითხრა: ტიციანი უფრო ჰგავს პოეტს, ვიდრე გალაქტიონი, ის ბრძენს უფრო ჰგავსო. ორივე მათგანში თანაბრად იყო შერწყმული სიბრძნეც და გულუბრყვილობაც; ორივე ერთნაირად გმობდა სიყალბესა და მოჩვენებითობას, თუმცა, მიუხედავად სისხლისა და სულისმიერი ნათესაობისა, უბოროტო მეტოქეობა ჰქონდათ.

ერთ დღეს ორი თუთიყუში მოგვიყვანა მე და ზურიკოს გალაქტიონმა და ჩვენი გართობით თვითონ ერთობოდა. რომ აგრილდა, დილას ორივე მკვდარი დაგვხვდა. დარდობდა, ჩემს თავს ვერ ვაპატიებ რომ სახლში დროულად არ შემოვიყვანეო... ვიღაცამ ძაღლი მოგვიყვანა, გრძელი ჯაჭვით დააბით ეზოშიო. გადაირია გალაქტიონი, ეს როგორ შეიძლება, დაბმულ ძაღლს რა მაყურებინებსო...

ერთ ზაფხულს, შოვში დასვენებისას დურგალი გაიცნო, რომელმაც მაგიდა გაუკეთა და მასზე წერდა ნაძვნარში. ცხადია, დურგალს ყოველდღე ხვდებოდა, რომელიც თავის მხრივ უგონოდ იყო შეყვარებული ნიკორწმინდაზე, მისი ყველა ჩუქურთმა ზედმიწევნით იცოდა. გალაქტიონის ლექსი „ნიკორწმინდა“ ყველამ იცის, მაგრამ არ იციან, რომ ეს ლექსი ისე დაწერა, ნიკორწმინდა არ უნახავს, ამინდების ჭირვეულობის გამო ვერ მოახერხა მისი ნახვა...

რამდენიმე კვირის ვყოფილვარ და თავზე გაზეთი დაუფარებია. მე ავფართხალებულვარ და გაზეთი გადმომიგდია. გალაქტიონი ძალიან გამხიარულებულა, ნახეთ, კომუნისტურ პრესას როგორ ებრძვის, რა ენერგიულად გამოხატავს პროტესტსო...



> „ჩემს გალაქტიონს მე ვკითხე ერთხელ
> (ის მთვრალი იყო როგორც ყოველთვის)
> ბატონო გალაქტიონ, თქვენ პირველი ხართ,
> დაგვისახელეთ მეორე პოეტი...
> უცებ ჭინკებით გაევსო თვალი,
> თვისი სიმაღლით ის იყო მთვრალი,
> საქართველოში?! — ჩაიქირქილა,
> და ლომურ წვერზე მოისვა ბრჭყალი...
>
> მურმან ლებანიძე

16 გვ. →



გალაქტიონი, ნინა და ნუნუ

# მარადისობაში გაშალა ფრთები...

← 15 გვ.

მუდმივად მისი სამუშაო მაგიდისკენ მივიწევდი თურმე და როცა მიშლიდნენ, გალაკტიონი მათ უჯავრდებოდა. გაანებეთ თავი, რა ბოროტების ჩადენა შეუძლია თითისხიგრძე ბავშვსო? ასეთი ლექსიც მომიძღვნა — „კაკინა წვიმაში“.

სკოლაში წასვლის დრომ რომ მომიწია, ბაბუამ თვითონ დაწერა განცხადება და ხელი მოაწერა — გალაკტიონი. სკოლაში ერთად წამიყვანეს ბებიამ და ბაბუამ და გალაკტიონმა მითხრა: „გახსოვდეს ეს დღე, სასწავლებლისკენ გზა დაგილოცა სახალხო პოეტმა!“ ის დღე ზეიმად იქცა სახლში. მუხლზე რომ შემომისვამდა და ერთად ვმღეროდით, საოცრად გამხიარულდებოდა ხოლმე „რანინა, რანინუ, რანინე,/ შენ გენაცვალე, მარინე.“

ჩემთან სურათების გადაღება უყვარდა, ჩემს ბიოგრაფიაში აუცილებლად უნდა ჩაიწეროს, რომ ჩემს ოჯახში ბავშვი იზრდებოდაო...

გალაკტიონი არ გარდაცვლილა, მან მხოლოდ მარადისობაში გაშალა ფრთები...

**მაკა ჯაყელი**



ჩვენს მთავარ რედაქტორს, გვანცა ხარჩილავას ვულოცავთ ქალიშვილის, ჩვენი პატარა მეგობრის — ცქრიალა, კუდრაჭა და ტკბილად მოჟღურტულე

ნენე დაუშვილის

დაბადების დღეს. ვუსურვებთ ბედნიერ, ლაღ ბავშვობას, ჯანმრთელობას, უღრუბლო ზეცას და ულევ სიხარულს.

„საერთო გაზეთის რედაქცია“

ჩვენს ერთგულ და საყვარელ თანამშრომელს

ლევან ბოჭორიშვილს

ვულოცავთ 50 წლის იუბილეს.
ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, სიხარულს, დიდხანს სიცოცხლეს და წარმატებებს შემოქმედებით საქმიანობაში.

„საერთო გაზეთი“

„საერთო გაზეთის“ რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა მწერალი ნოდარ კობერიძე და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

# როგორ მოვიქცეთ, წამალი საწამლავად რომ არ იქცეს

*ვაგრძელებთ საუბარს აკადემიკოს რამაზ გახოკიძესთან:*

### მწეველებო, არ მიიღოთ A და E ვიტამინი!

სინთეზურ ვიტამინებზე ექსპერიმენტი ჩაატარეს, რომელშიც მონაწილეობას ათასამდე მწეველი იღებდა, შედეგი ასეთი იყო: მწეველთა ჯგუფში, რომლის წევრებიც რამდენიმე წლის განმავლობაში აქტიურად იღებდნენ A ვიტამინს, ფილტვის კიბოს დაავადებათა რაოდენობა საშუალო მაჩვენებელზე მაღალი აღმოჩნდა, ხოლო იმ ჯგუფში, რომლის წევრებიც E ვიტამინს მოიხმარდნენ, ინსულტების დიდი რაოდენობა დაფიქსირდა. ვიტამინების მწარმოებლები ამ შედეგებს უარყოფენ, თუმცა ფაქტი სახეზეა. მწეველებმა არ უნდა მიიღონ A და E ვიტამინები, რადგან მათ ფილტვების კიბოსა და გულსისხლძარღვთა დაავადებების გამოწვევა შეუძლიათ. სინთეზური A ვიტამინის გამოყენებამ ორსულობის ადრეულ სტადიებზე შეიძლება ახალშობილთა დეფექტები გამოიწვიოს, რაც ბუნებრივ პროდუქტებში არ ვრცელდება (სტაფილო, ღვიძლი, კვერცხი, კარაქი და ა.შ.) შემავალი A ვიტამინის ბუნებრივ ფორმებზე. მაგალითად, ბეტა-კაროტინზე, რომლისგანაც ორგანიზმში A ვიტამინი წარმოიქმნება. აღსანიშნავია, რომ ბუნებრივი წარმოშობის A ვიტამინი ხელს უწყობს მხედველობის შენარჩუნებას, არეგულირებს დნმ-ის სინთეზს, იცავს უჯრედებს თავისუფალი რადიკალებისგან. სინთეზური A ვიტამინი კი პირიქით, 8%-ით ზრდის გულის შეტევებს და ფილტვის კიბოს განვითარებას. სინთეზური A ვიტამინის ჭარბი რაოდენობა სიმსივნის წარმოქმნის პროვოცირებას იწვევს, რასაც ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციაც ადასტურებს. თუ კვირაში 1-2 კვერცხის გულს მიირთმევთ, ულუფა ღვიძლს, დროგამოშვებით, ბუტერბროდს კარაქითა და წითელი თევზით, მაშინ A ვიტამინის დამატებით მიღება არ დაგჭირდებათ, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ სინთეზური და ბუნებრივი A ვიტამინი სრულიად განსხვავდება. აქვე გეტყვით, რომ რამდენიმე წლის წინათ ამერიკაში, მასაჩუსეტსის შტატში ადამიანები მოიწამლნენ რძეში მომატებული D ვიტამინის შემცველობის გამო. ერთი ადამიანი გარდაიცვალა. მწარმოებლებმა ვერ გაითვალისწინეს, რომ სინთეზური D ვიტამინის დიდი დოზა მაღალტოქსიკურია.

### რომელი პოპულარული პროდუქტის მიღება არ არის რეკომენდებული არცერთ მედიკამენტთან

შარდმდენ პრეპარატებს ორგანიზმიდან გამოაქვს კალიუმი, ამიტომ მისი მარაგის შესავსებად საჭიროა მწვანე ბარდის, მჟაუნის, ისპანახის, ჭარხლის, თავიანი ხახვის, კარტოფილის, სტაფილოს, კურაგას და ვაშლის მიღება. შარდმდენი პრეპარატები შეუთავსებელია ძირტკბილასთან, რადგან იგი ხელს უწყობს ორგანიზმიდან სითხისა და კალიუმის გაძლიერებულად გამოდევნას, რაც შეიძლება გაუწყლოებისა და კუნთების დაშლის მიზეზი გახდეს. ერიდეთ ყავას, ჩაის, კაკაოს, შოკოლადს, მარილიან და სანელებლებიან კერძებს, შებოლილ ძეხვეულს და ალკოჰოლს, განსაკუთრებით, ლუდს. არ იკრძალება ყურძნის, კიტრის, სტაფილოს წვენები, ბოლოკი, ოხრახუში.

ჰორმონული პრეპარატები გავლენას ახდენს ნივთიერებათა ცვლაზე. ამიტომ, გართულების თავიდან ასაცილებლად საჭიროა ხაჭოს და რძის სხვა პროდუქტების, ასევე, თევზის, კურაგას, ქიშმიშის, კენკრისა და გოგრის მიღება. ამ პროდუქტებში შედის ბევრი ცილა, ვიტამინები და კალიუმის მარილები.

ვირუსსაწინააღმდეგო და რკინის შემცველ პრეპარატებზე არ შეიძლება რძის დაყოლება, რადგან იგი აფერხებს მათ კუჭში შეწოვას. რკინის შემცველი სამკურნალო პრეპარატების მიღების პერიოდში ასევე უარი თქვით ყავაზე, ჩაიზე, ცომეულზე, ტკბილეულსა და ნიგოზზე.

ზოგიერთი ფსიქოფარმაკოლოგიური პრეპარატის მიღება არ შეიძლება თირამინის შემცველ პროდუქტებთან ერთად. ეს პროდუქტებია: ავოკადო, ბანანი, პარკოსნები, ქიშმიში, ყავა, საქონლის ხორცი, ქათმის ღვიძლი, ორაგული, შებოლილი ქაშაყი, ყველი, ლუდი, წითელი ღვინო, შოკოლადი. ასეთმა პროდუქტებმა შეიძლება ზემოქმედება მოახდინონ ფერმენტ მონოამინოქსიდაზის ინჰიბიტორების ფუნქციურ ეფექტიანობაზე. მათი დიდი რაოდენობით მიღება იწვევს არტერიული წნევის მკვეთრ გაზრდას. თირამინი ასევე ნეგატიურად მოქმედებს ზოგიერთი ანტიბაქტერიული სამკურნალო პრეპარატის აბსორბციაზე.

ტკივილგამაყუჩებელი პრეპარატების (პირამიდონი, ამიდოპირინი და სხვ.) შეთავსება არ არის რეკომენდებული შაშხეულთან, რადგან იგი აბათილებს წამლის სასარგებლო თვისებებს. ერიდეთ ცხარე და სანელებლიან კერძებს, ალკოჰოლს, თევზეულს.

რევმატიზმის საწინააღმდეგო პრეპარატები აგრესიულად მოქმედებს კუჭ-ნაწლავის ლორწოვან გარსზე. მათი მიღებისას უარი თქვით ხილსა და ბოსტნეულზე, შემწვარ კერძებსა და სოკოზე, ხორცისა და თევზის ბულიონებზე.

სასაქმებელ საშუალებებთან ერთად ერიდეთ სხვა წამლების მიღებას. არ მიიღოთ მაგარი ჩაი, შოკოლადი, მსხალი, ყველი, რომელთაც შეუძლიათ საპირისპირო ეფექტის გამოწვევა. არ იკრძალება ისპანახი, რომელიც აძლიერებს ნაწლავთა პერისტალტიკას. ასევე, არ იკრძალება ჭარხალი, ყაბაყი, ტკბილი ქლიავი, კიტრი.




**თამარ შველიძე**

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი“
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მთავარი რედაქტორი: გვანცა ხარჩილავა 599 03 43 06

სარედაქციო კოლეგია: თამარ ბერძენიშვილი (გამომცემელი) 555 33-44-14; თამარ შველიძე, გია ბურდული, ზურაბ ოშხერელი, ლევან ბოჭორიშვილი (კომპ. უზრუნველყოფა), ბელა გველესიანი, მთვარისა კევლიშვილი, ლევან ჭიღლაძე (სამართალი); თამარ დოლიძე (კონსულტანტი), ბესიკ ცარციძე (გავრცელების მენეჯერი: 599 58-72-50).

მის: თბილისი, ტაშკენტის ქ.18;
ტელ.: 593 44-04-01 (რედაქცია); 555 33-44-14.
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertogazeti.ge
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISSN 2233-3983
ISBN 977-22333-9800-1

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99